ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ვახტანგ ძაბირაძე: „თბილისში მეორე ტური აუცილებლად იქნება“



გვ.2

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




შაბათი – კვირა, 29 – 30 ივლისი, 2017

№178 (7413)

ფასი: 50 თეთრი

# „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი გიორგი მაჭავარიანი 50.000-იანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს



გვ.3

## იურისტი: „ხანძარი გარე ჩარევამ გამოიწვია“

## „საქართველოს ხელისუფლებას უნდა სააკაშვილი ორთაჭალის ციხეში, რომელსაც ნახევარ საათში აიღებს საქართველოს მოსახლეობა“

გვ.5



რომან გოცირიძე: „სააკაშვილმა ნებისმიერი გზით უნდა დაიბრუნოს უკრაინის მოქალაქეობა“




გვ.3

## „რუსეთი საქართველოს ავტომაგისტრალის გადაკეტვას ვერ გაბედავს“

ზაალ კასრელიშვილი: „წლის ბოლოსთვის მოსკოვი საგარეო პოლიტიკას შეცვლის“

## „სააკაშვილი არც საქართველოში სჭირდება ვინმეს, არც უკრაინაში და არც – ამერიკაში“

სოსო შატბერაშვილი: „დღევანდელი კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა უგულავას კისერზეა“

გვ.5






გვ.4

## მამუკა ტუსკაძე: „ირაკლი ლატარიამ ყველაფერი მოიგონა“

გვ.6



## ქვემო ქართლში 5 მილიონი დოლარის 2 ბიზნესპროექტი შეჩერდა

ISSN 1987-9385

## თამბაქოს ინდუსტრია მთავრობასა და პარლამენტს მართავს?



გვ.6

რა ეჭვი აქვს „თამბაქოს კონტროლის ალიანსს“

## „ბინის მყიდველი არასდროს მოატყუოთ“



გვ.6

რა უნდა ვიცოდეთ ბინის გაყიდვის დროს

# ვახტანგ ძაბირაძე: „თბილისში მეორე ტური აუცილებლად იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადგილობრივ არჩევნებსა და ოპოზიციის მომავალ გადაჯგუფებაზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, თბილისში იქნება თუ არა მეორე ტური? ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მეორე ტური არ იქნება.***

– ენდიაის კვლევებმა ტენდენციები ზუსტად გამოკვეთა. მეტიც, ეს კვლევა ყველაზე ახლოს არის რეალობასთან.

თბილისში მეორე ტური აუცილებლად იქნება. ჯერჯერობით ოთხი კანდიდატია ცნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გამოჩნდებიან კანდიდატები და საარჩევნო კამპანია წინ არის.

***– არაორდინარულ კანდიდატს ელოდებით?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, ასეთი მოულოდნელი და არაორდინარული კანდიდატი ჯერ კიდევ გამოჩნდეს.

***– ეს შეცვლის რამეს არჩევნებზე?***



– თუ ხელისუფლება ხალხს მიიყვანს არჩევნებზე და ამ გზით აპირებს წასვლას, მაშინ მეორე ტური არ იქნება, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხალხი ნაკლებად მიდის. ამიტომ მე ამ არჩევნებზე ამომრჩევლის ძალიან მაღალ აქტივობას არ ველოდები, თან დიდ ნაწილს ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული. ზოგადად ადგილობრივ არჩევნებზე მიდის ის ამომრჩეველი, რომელსაც გადაწყვეტილება იმთავითვე აქვს მიღებული და კანდიდატი მოსწონს. ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებას გაუჭირდება პირველივე ტურში გამარჯვების მოპოვება. მეორე ტურში კი სახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს.

***– მეორე ტურში იქნება ელისაშვილი?***

– მას ძალიან დიდი მუშაობა დასჭირდება, რომ მეორე ტურში გავიდეს. დღეს არსებული ვითარებით, თუ სხვა არაორდინარული კანდიდატები არ გამოჩნდებიან, ელისაშვილს აქვს შანსი, მეორე ტური მასა და კალაძეს შორის გაიმართოს, მაგრამ საარჩევნო პროცესს საბოლოო სახე ჯერ არ მიუღია, კანდიდატები ბოლომდე არ არიან ფორმირებულნი. საარჩევნო კამპანიის სტილი არ არის ცნობილი, ბევრი შემადგენელი ჯერ ისევ უცნობია, როგორი იქნება განლაგება და ა.შ. მოგეხსენებათ, ბევრი ფაქტორი მუშაობს.

ადგილობრივი არჩევნებით დასრულდება ის ციკლი, რომელიც დაიწყო 2016 წლის არჩევნებით.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ამ არჩევნების შემდეგ ოპოზიციური ფლანგი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდება და თავიდან დაიწყება ოპოზიციის ფორმირება. გადათამაშება დაიწყება, ძალიან რეალური სურათი დაიდება. ამ არჩევნების შემდეგ დასრულდება ის დაბნეულობა, რომელიც ოპოზიციამ მიიღო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. როგორ სახეს მიიღებს ეს ფორმირება და რა სახით წარდგება ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებისთვის, ამას დრო გვიჩვენებს.

***– თუ გიორგი მარგველაშვილმა გადაწყვიტა, რომ მეორე ვადით კენჭი არ იყაროს, შესაძლებელია, ოპოზიციური ძალების გარკვეული ფორმირება სწორედ მის ირგვლივ მოხდეს?***

– ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მარგველაშვილი რას იზამს, დამოკიდებულია შემდგომ პოლიტიკურ პროცესზე, ვინ გამოჩნდება, როგორ გადაჯგუფდება ოპოზიცია. ბევრი საინტერესო დეტალია. ამას ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. თუ მარგველაშვილი გადაწყვეტს, რომ მეორე ვადით არ იყაროს კენჭი, მაშინ ის აუცილებლად წავა აქტიურ პოლიტიკაში, მაგრამ მას ამისთვის აუცილებლად დასჭირდება პოლიტიკური საყრდენი. დღეს მას არ აქვს პოლიტიკური საყრდენი, ისევე, როგორც, მაგალითად, ელისაშვილს.

დღეს ელისაშვილის მხარდამჭერი „ქართული ოცნებიდან“ წასული ამომრჩეველია. ეს ამომრჩეველი ეძებს რაღაც ახალს, ინტენსიურად ეძებს ახალს. საუბარია ამომრჩევლის საკმაოდ დიდი რაოდენობაზე. რაღაც ახალზე მოლოდინი და მოთხოვნილება უკვე გამოჩნდა.

პოლიტიკური საყრდენი აუცილებელია. თუ მარგველაშვილი შექმნის ამ საყრდენს და ეს იქნება ძლიერი საყრდენი, მაშინ მას ბევრად უფრო გაუადვილდება ოპერირება.

# პროკურატურამ სასამართლოზე ციანიდი მიიტანა

## რა ჩვენებას მისცემს ციანიდის საქმეზე ირაკლი ფირცხალავა

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმეზე პროკურატურამ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები წარადგინა. სასამართლოზე მიიტანეს ციანიდი და ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, მამა გიორგი მამალაძისგან ამოიღეს.**

ციანიდის გარდა, პროკურორებს ვიდეო-აუდიო ჩანაწერების სტენოგრამითაც ჰქონდათ დამშვენებული. საუბარია იმ ჩანაწერებზე, რომლებიც პროკურორის მთავარმა მოწმემ ირაკლი მამალაძემ მოიპოვა.



საგამოძიებო უწყების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაცვის მხარეს სასაცილოდ არ ეყო.

– ბრალდების მტკიცებულებებს არანაირი შემხებლობა არ აქვს დანაშაულთან. არანაირი დანაშაული არ იგეგმებოდა. შესაბამისად, ვერც ნივთმტკიცება ვერ იარსებებს, – განცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.



ადვოკატ პაატა მეხრიშვილის განცხადებით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერებით დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალეულობა არ დასტურდება.

მისივე თქმით, პროკურატურა ტყუილად ჩააცივდა დეკანოზ გიორგი მამალაძის იმ განცხადებას, სადაც ის შორენა თეთრუაშვილის მარილზე გაშვებაზე საუბრობს.

– პატრიარქის მდივან-რეფერენტის შორენა თეთრუაშვილის მარილზე გაშვებაში იმას გულისხმობდა, რომ შორენას ბერი გაბრიელის წინასწარმეტყველება აქვს, რომლის მიხედვით, ის გაგიჟდება, საპატრიარქოს „კრუგებს“ დაარტყამს და შიგნით არ შეუშვებენ. სწორედ ეს ფრაზა იყო ამოჭრილი ჩანაწერიდან, რომელიც დეკანოზის და ირაკლი მამალაძის შეხვედრას ასახავდა, – აღნიშნა მეხრიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

მისი თქმით, ბრალდების მხარის მტკიცებულებები იყო ჩვეულებრივი მაკულატურა.

– რადგან ამ მტკიცებულებებს ის ფასიც კი არ აქვს, რაზეც ის არის დაბეჭდილი. თუ ბრალდება ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვარაუდობს გამამტყუნებელ განაჩენს, ეს არის სასაცილო და სახალისო, – მიიჩნევს ადვოკატი.

დაცვის მხარე გვპირდება, რომ ახლო მომავალში ამ საქმეზე ბევრ საინტერესო ამბავს გავიგებთ.

მიხეილ რამიშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ბრალდების მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდება, პირველივე მოწმე, რომელსაც დაცვის მხარე სასამართლოში წარადგენს, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა იქნება.

რამდენიმე კვირის წინ ფირცხალავამ სკანდალური განცხადება გააკეთა. ციხიდან მოწერილ წერილში ის პროკურატურის მთავარ მოწმეზე საუბრობს. მისი მტკიცებით, ირაკლი მამალაძე იყო სპეცსამსახურების აგენტ-პროვოკატორი და მას მედიასთან, სასულიერო პირებთან და ლგბტ თემის წარმომადგენლებთან მუშაობა ევალებოდა.

ამ განცხადების გამო მოწმე მამალაძემ ირაკლი ფირცხალავას ცილისწამებისთვის უჩივლა. მამა გიორგის ადვოკატებმა მისი დაკითხვა მოითხოვეს. თავიდან პროკურატურა უარზე იყო, მერე დათანხმდა.

მიხეილ რამიშვილის თქმით, ფირცხალავა სავარაუდოდ მომავალ სასამართლო სხდომაზე დაიკითხება.

– როგორც კი ჩვენი, დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყება, პირველივე გამოკვლევისას მოხდება ირაკლი ფირცხალავას დაკითხვა, – განაცხადა რამიშვილმა.

# მეფრინველეობის ფაბრიკა დინამოს ბაზის ნაცვლად?

შორენა მარსაგიშვილი

**ქართულ ფეხბურთში ბევრი უცნაურობა ხდება. სხვაგან ალბათ ვერსად ნახავთ, რომ საფეხბურთო კლუბების მეპატრონეები მეფრინველეობის განვითარებაზე ზრუნავდნენ. საქართველოში კი ეს ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.**



ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ზუგდიდში, თავისი გუნდის საწვრთნელ ბაზაზე, არც მეტი, არც ნაკლები, გედები განათავსა. ეს ფრინველები მან მოსკოვიდან ჩამოიყვანა.

ზვიად სიჭინავას განმარტებით, მას სურს, რომ გედები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს აჩუქოს. ამ დროისთვის ბოტანიკურ ბაღს გედების საცხოვრისი არა აქვს და სანამ ეს პრობლემა მოგვარდება, გედები საფეხბურთო კლუბის ბაზაზე იცხოვრებენ და ვინ იცის, ეგება პასის მიწოდება მაინც ისწავლონ.

მეფრინველეობა-მეცხოველეობით არის დაინტერესებული თბილისის დინამოს მეპატრონე რომან ფიფიაც. დინამოს საწვრთნელი ბაზის გვერდით, მას მებაღეობა-მებოსტნეობა აქვს განვითარებული. იქვე ჰყავს ბოცვრები და ქათმები.

სიჭინავასგან განსხვავებით, მას ფრინველები ბოტანიკური ბაღისთვის გადასაცემად არ სურს. ეს მისი ბიზნესია და არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ დღეს დიღმის საწვრთნელი ბაზის ადგილზე მეფრინველეობის ფაბრიკას იხილავთ.

რამდენიმე თვის წინ თავად ფიფიამ განაცხადა, რომ დინამოს საწვრთნელი ბაზისთვის ახალ ადგილს ეძებდა. ამბობდა, რომ ახალი ბაზა ან მცხეთასთან ახლოს ან თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდებოდა.

დიღმის ბაზაზე კი, მისივე თქმით, ისეთი რამე გაკეთდება, რაც დინამოს იქეთ შეინახავდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ბაზის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას და სავაჭრო ცენტრის აშენებას გეგმავს.

ფიფიას ამ განცხადებას ფეხბურთის ფედერაციაში დიდი ამბები მოჰყვა. ვეტერანმა ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ ფიფიას ისტორიულ ბაზას არ გააყიდინებენ.

ფიფიას ჯერ ამაზე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ის ამ მომენტისთვის საქართველოში არაა. იმედია, მალე განმარტავს რას უპირებს ბაზას – მის ადგილზე მეფრინველეობის ფაბრიკას მოაწყობს თუ სავაჭრო ცენტრს.

ისე, მეფრინველეობა ცუდი არ იქნებოდა, დიღმის მასივის მოსახლეობას მამლის ყივილი გაალვიძებდა ალიონზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსეთი საქართველოს ავტომაგისტრალის გადაკეტვას ვერ გაბედავს“

## ზაალ კასრელიშვილი: „წლის ბოლოსთვის მოსკოვი საგარეო პოლიტიკას შეცვლის“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ჩამოვიდა უკრაინის პრეზიდენტი საქართველოში, რატომ ვერ გაბედავს რუსეთი საქართველოში შემოჭრას, რას ითხოვენ კავკასიელები საქართველოს ხელისუფლებისგან, რა შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

– საქართველოსა და უკრაინას შორის ყოველთვის კარგი ურთიერთობა იყო. გასული საუკუნის 90-იან წლებში უკრაინელები ჩვენ გვერდით იბრძოდნენ აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ. მათ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მსხვერპლიც გაიღეს. საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად კიევმა აღიარა.

ჩვენ შორის მომავალშიც კარგი ურთიერთობა იქნება, მაგრამ მთავარი აქ ისაა, ურთიერთობის რა ფორმა იქნება ჩვენ შორის გაფორმებული. 2009 წლიდან მოყოლებული, ჩვენ კატეგორიულად ვითხოვდით, რომ ჩვენს ხელისუფლებას კიევთან ოფიციალურად გაეფორმებინა სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ეს ხელშეკრულება გაფორმდა ახლა. ამიერიდან საქართველოს სამეზობლოში ორი სტრატეგიული პარტნიორი ჰყავს – აზერბაიჯანი და უკრაინა. მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკაა. ასე რომ, რუსეთს საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა ძალიან გაუჭირდება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ გაუჭირდებათ თუ ეს თქვენი სურვილია?***

– დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ამას ვერ გაბედავს.

***– რატომ ვერ გაბედავს?***

– ამ მაგისტრალის გადაკეტვა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა იქნება. იმ შემთხვევაში თუ საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავს, აზერბაიჯანსაც და უკრაინასაც სერიოზული პრობლემები შეექმნება. ეს რუსეთს გააძლიერებს. გაძლიერებული რუსეთი თურქეთთან ენის მოჩლექით არ ილაპარაკებს. რაც არავის ინტერესებში არაა. ასე რომ, რუსეთის გაძლიერებას არავინ არ დაუშვებს.

***– საქართველოს საზღვრებთან მიმდინარე სამხედრო წვრთნებზე რას იტყვით? ექსპერტების ნაწილი შიშობს, რომ რუსეთი საქართველოში შემოჭრას აპირებს. თქვენ ეს სამხედრო წვრთნები არ გაფიქრებთ?***




### რა შედეგს მოუტანს საქართველოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობა

– სამხედრო სწავლებაში 16.000 კაცი მონაწილეობს. 2008 წელსაც იგივე ვითარება იყო. 2008 წლისგან განსხვავებით, ახლა რუსეთი საქართველოში შემოჭრას ვერ გაბედავს. მე პირიქით გეტყვით, რუსეთს იქეთ ეშინია.

***– რისი ეშინია, რომ საქართველო შეიჭრება რუსეთში?***

– საქართველო რომ რუსეთში ვერ შეიჭრება, ეს კრემლში კარგად იციან. მათ საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო წვრთნები ადარდებთ. ისინი შიშობენ, რომ წვრთნები ნილაბი არ იყოს და ეს ძალები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ შევიდნენ.

რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე მაღალი აზრის არა ვარ, მაგრამ ისინიც კი არ გარისკავენ, რომ კავკასიური ომის ქარცეცხლში გაყონ თავი. თუ გაყოფენ და ამით თავად დაზარალდებიან.

***– თავად რატომ, კავკასია არ დაზარალდება?***

– რუსეთის გადამკიდე კავკასიელებს ომი და უბედურება აღარ აშინებთ. დაიწყებენ და დამთავრდება რუსეთი. ისეთ სანქციებს მიიღებენ, რომ ველარ გაძლებენ.

***– რატომ გგონიათ, რომ სანქციები რუსეთს ჩამოშლის? მათ წინააღმდეგ რამდენი ხანია სანქციებია დაწესებული, მაგრამ რუსეთი მაინც არ ჩამოიშალა და სხვების ტერიტორიების მითვისებას აგრძელებს.***

– ვინ გითხრათ, რომ რუსეთს სანქციებმა ვერაფერმა დააკლო? ძალიან სერიოზული პრობლემები აქვთ უკვე. წინ კიდევ უფრო ცუდი ამბები ელოდებათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნება. ის იძულებული გახდება, საგარეო პოლიტიკური კურსი შეცვალოს.

***– დასავლეთთან და უკრაინასთან შესაძლოა შეცვალონ კურსი, მაგრამ საქართველოსთან თუ შეიცვლება? ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი რუსეთს ენის მოჩლექით ელაპარაკება.***

– ოკუპანტს ენის მოჩლექით არავინ უნდა ელაპარაკოს. მართალია, ვიღაცები რუსებს ენას უჩლექენ, მაგრამ მოსკოვს ჩვენთანაც მოუწევს კურსის შეცვლა. გლობალური პროცესები ჩვენთვის სასარგებლოდ მიდის. კრემლს ჩვენთან ამის გამო მოუწევს დამოკიდებულების შეცვლა.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირება მზარდი დინამიკით მიდის. დღეს ეს რადიკალურ ისლამიზმშია გამოხატული, ხვალ ის სხვა ფორმას მიიღებს. ზეგ ყველაფერი ერთმანეთში აირევა. ამ დაპირისპირებაში კავკასია, კარგი გაგებით, არის მთავარი ფიგურანტი.

საქართველოს როლი გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით ათჯერ არის გაზრდილი. 1-2 წელიწადში ის კიდევ უფრო გაიზრდება.

პროგნოზის სახით გეტყვით და თქვენმა მკითხველმა დაიმახსოვროს, ზედმეტად ლიბერალურ მოთხოვნებს დასავლეთი საქართველოს არ წამოუყენებს. დასავლეთს რადიკალური ისლამის საზღვარზე მებრძოლი და რელიგიურად მოტივირებული საზოგადოება სჭირდება.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე ტოლერანტობაზე უარს იტყვის. ქართველები უცხო ერების და სხვა რელიგიების მიმართ ყოველთვის შემწყნარებლები ვიყავით. ეს მომავალშიც ასე იქნება.

***– ამბობთ, რომ გლობალური პროცესები ჩვენთვის სასარგებლოდ მიმდინარეობს. ქვეყნის შიგნითაც ქვეყნისთვის სასარგებლო პროცესები მიდის? რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარზე ზემოთ კონკრეტულად არ მიპასუხეთ და რითი დასრულდება ეს?***

– რუსეთისთვის ენის მოჩლექას არც მე მივესალმები, მაგრამ ამის გამო ჩვენს მოქალაქეებს პასუხს ვერ მოვთხოვთ. მათ არჩევანს და მათ საქციელს ვერ განვსჯით. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ჩვენი შეხედულებები გამოვთქვათ.

რაც არ უნდა ენა მოუჩლიქონ რუსეთს და რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ის ჩვენი ძმაა, საქართველო პრორუსულ ორბიტაზე არ დაბრუნდება.

***– ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ უკვე დავბრუნდით.***

– არ დაიჯეროთ. აქ პრორუსული ძალები ვეღარ გაიმარჯვებენ. პრორუსულობას ხელისუფლებასაც აბრალებენ, მაგრამ ეს ბოლომდე ასე არაა. ვიღაცას შესაძლოა მოსწონს რუსეთი, მაგრამ კურსი დასავლურია.

კიდევ ერთ პროგნოზს გავაკეთებ და გეტყვით, რომ თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ეს სამი მიზეზით იქნება განპირობებული.

პირველი მიზეზი ის გახლავთ, რომ ოპოზიციამ ერთი იდეის გარშემო დღემდე ვერ შეძლო გაერთიანება. მათ მერობის ერთიანი კანდიდატიც კი ვერ წამოაყენეს და ერთმანეთს ხმებს უყოფენ. ამას თავადაც ხვდებიან, მაგრამ ამ ნაბიჯზე შეგნებულად მიდიან. იმედი აქვთ, რომ საქმეს მეორე ტურამდე მიიყვანენ და მერე თავისი პროცენტებით ივაჭრებენ.

ოპოზიციის მარცხის მეორე მიზეზი იქნება ის, რომ 2012 წლიდან დღემდე, ვერც პროდასავლურმა და ვერც პრორუსულმა ოპოზიციამ მოვლენის შექმნა ვერ მოახერხა. ეს არც პროყიზილბაშურ ოპოზიციას გამოუვიდა.

***– მოიცათ, პროყიზილბაშური ძალებიც გვყავს?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, გვყავს. მოკლედ რომ გითხრათ, ყველანაირი პრო გვყავს პოლიტიკაში. ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო პოლიტიკური მოვლენის შექმნა და მის გარშემო იდეოლოგიური გაერთიანება.

ოპოზიცია ფაქტებზე რეაგირებს მხოლოდ და უარყოფითი შეფასებებით პოლიტიკურ პრესინგს ეწევა, რაც ამომრჩევლისთვის მომაბეზრებელია.

ოპოზიციის მარცხის მესამე მიზეზი იქნება ის, რომ ხელისუფლება სხვებზე უკეთ მოახერხებს საკუთარი მომხრეების მობილიზებას და მათ საარჩევნო უბნებთან მიიყვანს.

***– ისევ რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარს დავუბრუნდეთ. მეჩვენება თუ ამას გაგებით ეკიდებით? ადრე უფრო კატეგორიული იყავით ამ საკითხზე.***

– როგორ შეიძლება მე რუსეთთან ენის მოჩლექით ლაპარაკს გაგებით მოვეკიდო, მაგრამ მითხარით, რა შედეგს მოიტანს რუსეთის ლანძღვა? ხელისუფლებამ სხვა გზა უნდა აირჩიოს. ლანძღვის ნაცვლად, მოსკოვის წინააღმდეგ კონკრეტული არგუმენტები უნდა წარმოადგინოს.

***– რატომ არ ხდება ამ არგუმენტების წარმოდგენა?***

– ხელისუფლების წარმომადგენელი არა ვარ და ამაზე ვერ გიპასუხებთ. ისე, ჩვენ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. მსოფლიოს 21 ქვეყანაში ცხოვრობენ კავკასიელები, რომლებიც ანტირუსულად არიან განწყობილი. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია, მათთან ერთად მოვაწყოთ აქციები ამ ქვეყნებში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.

***– ამის გამო რუსეთს შერცხვება?***

– რუსეთს დიდი ხანია, არაფრის რცხვენია, მაგრამ მსოფლიოს კიდევ ერთხელ გავახსენებთ, რომ რუსეთი სხვის მიწებს ეპატრონება. მსოფლიო მის ქმედებებზე უფრო სერიოზულად რეაგირებს. ჩვენი აქტიურობის შემთხვევაში, რეაგირება კიდევ უფრო მკაცრი იქნება.

# „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი გიორგი მაჭავარიანი 50.000-იანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს





## იურისტი: „ხანძარი გარე ჩარევამ გამოიწვია“

28 ივლისს „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორ გიორგი მაჭავარიანს ბრალი წარუდგინეს.

მისი ადვოკატის განცხადებით, დაკავებული ბრალს არ აღიარებს. გაგი მოსიაშვილი თბილისის სამმართველოში იმყოფებოდა, სადაც დაცვის ქვეშ მყოფს შეხვდა.

ადვოკატის განცხადებით, ბრალი წარდგენილია სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის გამო. მისივე თქმით, მტკიცებულებები საკმაოდ მოცულობითია.

გაგი მოსიაშვილი აღნიშნავს, რომ, შსს-ს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით, დაცული იყო უსაფრთხოების ყველა ნორმა.

„ბავშვთა სამყაროს“ იურისტ ვაჟა მაისურაძის განცხადებით, სავაჭრო დაწესებულების დირექტორისთვის წაყენებული ბრალი აბსურდულია.

მისი თქმით, ქონების განადგურება დამნაშავის მიერ განზრახ ცეცხლის წაკიდებამ გამოიწვია.

– სამართლიანობა და კანონიერება მოითხოვს, რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს დამნაშავემ ან იმ პირთა ჯგუფმა, ვინც „ბავშვთა სამყაროს“ ცეცხლი წაუკიდა. გამოძიების დასკვნით დადგენილია, რომ ადგილი ჰქონდა ცეცხლის წაკიდებას და არავითარ შუაში არ არის აბსურდული ბრალდება უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების წესები იყო ყოველმხრივ დაცული და რომც არ ყოფილიყო წესები დაცული, ქონების განადგურება გამოიწვია არა წესების დაუცველობამ, არამედ დამნაშავის მიერ განზრახ ცეცხლის წაკიდებამ, – განაცხადა „ბავშვთა სამყაროს“ იურისტმა.

მისი თქმით, „სახელმწიფოს არ აქვს თავი, რომ რაიმე გონივრული გამოსავალი მოძებნოს და ურჩევნია, წინასაარჩევნოდ სხვების გულის მოსაგებად, ერთი მსხვერპლი ბოლომდე გაანადგუროს“.

28 ივლისს საღამოს გიორგი მაჭავარიანი სასამართლო დარბაზიდან 50.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

ბრალდება მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

10.000 ლარიანი გირაო შეეფარდა ბავშვთა სამყაროს უსაფრთხოების თანამშრომელ მალხაზ თევზაძეს.

„ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი და უსაფრთხოების თანამშრომელი პროკურატურამ 27 ივლისს დააკავა.

თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე არსებული „ბავშვთა სამყარო“ 30 იანვარს დაიწვა, რამაც მოვაჭრეების პროდუქცია, ფაქტობრივად, სრულად გაანადგურა. დაზარალებულებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყვეს და ხელისუფლებას მოთხოვნები წაუყენეს. მოგვიანებით, დაზარალებულები მერიის მიერ შეთავაზებულ, 3.000 ლარიან კომპენსაციას დათანხმდნენ.

# „ვერ დავიჯერებ, რომ დარჩო ხეჩუაშვილს უცბად ისე შევჯავრდი, რომ ჩემი მოკვლა გადაწყვიტა“

## გივი თარგამაძე სასამართლომ დაკითხა

„ევროპული საქართველოს“ წევრი გივი თარგამაძე 28 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი ავტომობილის აფეთქების საქმეზე დაზარალებულის სტატუსით დაიკითხა.

დაკითხვის დასრულების შემდეგ თარგამაძემ ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, დაკითხვის დროს ავტომობილის აფეთქების დღე, გასული წლის 4 ოქტომბერი, დეტალურად გაიხსენეს.

– მეც იგივე კითხვა მაქვს, რაც პროცესზე დავადასტურე. თუ გამოძიებამ საქმეში არ გამოკვეთა მოტივი, ზოგადად ამ საქმის გამოძიებას აზრი არ აქვს. თუ მოტივი არ არსებობს, ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ ჩემთვის უცნობმა დარჩო ხეჩუაშვილმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და ისე შევჯავრდი, რომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა მოვეკალი. ბუნებრივია, ამის ხომ არავის არ სჯერა? აქედან გამომდინარე, მოტივის გარეშე სასამართლო განხილვა ყოველგვარ აზრს არის მოკლებული.

ბორის ჩაგუნავა, რომელიც მანამდე მუხროვანზე და შევარდნაძის პირველ ტერაქტზე იყო ბრალდებული, ეს ადამიანი ამ საქმიდან ისე გამოყვეს, რომ უკან ვერ მიუბრუნდები. ერთი და



იგივე საქმეზე ორჯერ გასამართლება არ შეიძლება. ამიტომ, მე ვვარაუდობ, რომ აფეთქებაში მეორე ბრალდებულს (დარჩო ხეჩუაშვილი) და მასთან დაკავშირებულ პირებსაც მეორე ცხრათვიანი გამოძიების შემდეგ ასევე გამოყოფენ ცალკე საქმედ, რაც საბოლოო ჯამში გამოვა, რომ ყველა ფიგურანტი ამ პროცესს ცალ-ცალკე გაივლის და საქმეში ერთიანი სურათი არ დაიხატება ამ გამოძიებებისა და სასამართლო პროცესების შედეგად, – განაცხადა თარგამაძემ.

# მამუკა ტუსკაძე: „ირაკლი ლატარიამ ყველაფერი მოიგონა“

გულიკო ბალაძე

**„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ ირაკლი ლატარიას მიერ გიორგი ლომიას მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე საუბრობს.**

***— ბატონო მამუკა, რა ხდება „პატრიოტთა ალიანსში“, ბოლო დროს რა სკანდალში გაეხვია პარტია? რა შეგიძლიათ თქვათ თქვენი პარტიის ყოფილი წევრის, ირაკლი ლატარიას, განცხადებაზე?***

— „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილმა წევრმა, ირაკლი ლატარიამ, რამდენიმე დღის წინ გააკეთა სკანდალური განცხადება, თითქოს ის „პატრიოტთა ალიანსის“ სხვა წევრმა, კერძოდ კი, გიორგი ლომიამ გაიტაცა...

***— ლომია ამჟამად პარლამენტის წევრია.***

— დიახ, პარლამენტის წევრი და ფრაქციის თავმჯდომარეა, რომელმაც თითქოს მოიტაცა ირაკლი ლატარია სხვა პირებთან ერთად მისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან, წაიყვანა პარტიის ოფისში, იქ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, იძალადა მასზე. ასევე თითქოს ლომია დაემუქრა და ის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

***— გატაცება როგორ მოხდა, ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში?***

— როგორც მე ვიცი, საერთოდ, ძალადობრივი ჩასმა და წაყვანა არ მომხდარა.

***— ლატარია ხომ ამბობს?***

— ლატარია როგორ ამბობს, პროკურატურამ იცის. ლატარია ხან ასე ამბობს, ხან ისე. სინამდვილეში ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

***— როცა აცხადებთ, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონიაო, რაზე დაყრდნობით ამბობთ ამას?***

— თუ ასეთ ფაქტს ექნებოდა ადგილი, ირაკლი ლატარია არ არის ის ადამიანი, 9 თვე საიდუმლოდ შეენახა. თუ მან მართლა განიცადა წამება და არაადამიანური მოპყრობა, გათავისუფლებიდან მეორე დღეს რეაქცია ექნებოდა.

***— ლატარია ამბობს, რომ 9 თვის წინ ფეხმძიმე ცოლი ჰყავდა.***

— ბავშვი ახლა შეეძინა და 9 თვის წინ ფეხმძიმე ცოლი როგორ ეყოლებოდა? ე.ი. 1 დღის ფეხმძიმე იყო. 9 თვის წინ განუცხადებლობას ამართლებს იმით, თითქოს ფეხმძიმე ცოლი და შვილი არ დააყენა დარტყმის ქვეშ.

***— ისე, 9 თვის წინ რა იცოდა, რომ ცოლი ფეხმძიმედ იყო?***

— ამაში გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია. ირაკლი ლატარიამ 9 თვის წინ იცოდა, რომ მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო. მას გუშინწინ შეეძინა შვილი და როგორ იცოდა 9 თვის წინ, მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო თუ არა. ხანდახან 3 თვეს ვერ ხვდებიან, ქალი თუ ფეხმძიმედაა.

***— რეალურად, ლატარიას რაში სჭირდება ტყუილის მოგონება?***

— ლატარია გარკვეული დესტრუქციული ძალების აგენტია, გავლენის აგენტია. მე მეგონა, რომ ის აზრები, რაც ლატარიაზე მუსირებდა (რომ მან გარკვეული დარღვევები დაუშვა „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ და ითანამშრომლა მტერთან), სწორი არ იყო.

***— თავის დროზე ამის გამო გაუშვა „პატრიოტთა ალიანსმა“ ლატარია პარტიიდან?***

— დიახ. თუმცა, ამ ქმედებით მთლიანად დავრწმუნდი, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ არ შემცდარა, რადგან ლატარია იგივე დავალებას ასრულებს უკვე გარედან, ვიღაცის კერძო და გაურკვეველი ძალების, ორგანიზაციების პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს.

ლატარიამ ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში, თითქოსდა მოახერხა მისი პრობლემის სააშკარაოზე გამოტანა. სინამდვილეში მისი განცხადებები „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.



***— ლატარია ამით ცდილობს, „პატრიოტთა ალიანსის“ სახელის შებღალვას?***

— დიახ, ცდილობს, თუმცა, არ გამოუვა. ჩვენ უკვე შევიტანეთ სასამართლოში სარჩელი ირაკლი ლატარიას წინააღმდეგ, მის მიერ პატივისა და ღირსების შელახვისთვის, ასევე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, სარჩელი პროკურატურაშიც შევიტანეთ. სამართლიანი გამოძიების პირობებში დადგინდება, რომ გატაცებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რომელზეც მან ცრუ დასმენით პროკურატურას მიმართა, რათა გიორგი ლომიას წინააღმდეგ საქმე აღძრულიყო ორი მუხლით.

უახლოეს დღეებში დაინიშნება სასამართლო პროცესი. მინდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა დავაკისრო ირაკლი ლატარიასა და იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ ბინძურ კამპანიას აწარმოებენ „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ. ლატარიამ ზუსტად იცოდა, რომ აქ შეტევისა და თავდასხმის ობიექტი იყო არა გიორგი ლომია, არამედ პოლიტიკური ორგანიზაცია „პატრიოტთა ალიანსი“.

ირაკლი ლატარია ორმაგ თამაშს თამაშობს და ორმაგი სტანდარტით სარგებლობს, როცა ამბობს, რომ ირმა ინაშვილი არის მისი მეგობარი. ფეისბუქზე წერს პოსტებს, რომ ის ბოდიშს უხდის ირმა ინაშვილს. ამავდროულად, ტალახში სვრის მის პიროვნებასა და მის ბიოგრაფიას, აცხადებს რა, რომ ირმა ინაშვილმაც იცოდა ამის შესახებ.

***— ირმა ინაშვილმა იცოდა?***

— არა, ასეთ აბსურდს ამბობს ირაკლი ლატარია, თითქოს ირმა ინაშვილმაც იცოდა და თან ბოდიშს უხდის. ირაკლი ლატარია მეხუთე განზომილებაშია უკვე გადასული ან რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაციის დავალებას ასრულებს.

***— თქვენი ინფორმაციით, ირაკლი ლატარია ვისთან თანამშრომლობდა არჩევნების დროს ან ახლა ვის დავალებას ასრულებს?***

— ლატარია ყოველთვის იყო ნაცმოძრაობის აქტივი. ნაცმოძრაობის დროს ლატარია ისეთ თანამდებობაზე მუშაობდა, რომ მაშინდელი კუდის რეკომენდაციის გარეშე იქ ადამიანი ვერ დაინიშნებოდა.

***— რა თანამდებობაზე მუშაობდა?***

— ირაკლი ლატარია ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი იყო, ანუ მთელს საქართველოში ცენტრალური საარჩევნო კომისია რა ფულსაც ხარჯავდა, ის ლატარიას ხელით გადიოდა და ამ ყველაფერს ლატარია აკონტროლებდა. ის იყო ცესკოს წევრი პოლიტიკური ფიგურა. ლატარია არის ყოფილი აგენტი, თუმცა, ყოფილი აგენტები არ არსებობენ და დღესაც ის ასრულებს იმ კუდის მაღალჩინოსნის დავალებას, რომელსაც თავის დროზე ლატარია „დავერბოვკებული“ ჰყავდა.

ხელისუფლების საუბედუროდ მინდა ვთქვა, რომ ეს ადამიანები კვლავ მუშაობენ სისტემაში. მათ თავისი პოლიტიკური გავლენის აგენტები უკვე არსებულ რეალობაში გამოიყენეს, ამ შემთხვევაში „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ.

***— ნაცმოძრაობას რა ინტერესი აქვს, „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ რომ იმოქმედოს?***

— რამდენიმე ინტერესია. ორი დღის წინ გამოქვეყნდა რეიტინგები. მათ წინასწარ იცოდნენ რეიტინგების შესახებ. ნახეს, რომ რეიტინგებში პირველ ადგილზეა „ქართული ოცნება“, ხოლო მეორე-მესამე ადგილი ნაცმოძრაობასა და „პატრიოტთა ალიანსს“ უჭირავთ 4-4%-ით (7% აქვთ ევრონაცებს“). რეალურად, მეორე ადგილისთვის იბრძვის ნაცმოძრაობაც და „პატრიოტთა ალიანსიც“

***— ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობამ რეიტინგები წინასწარ იცოდა და ლატარიას სკანდალი შეგნებულად გაუშვა?***

— დიახ, ენდიაი სააკაშვილის ჯიბის ორგანიზაციაა და ყოველთვის ნაცებზე მუშაობს. ეს კვლევები არის ნამდვილი ფალსიფიკაცია. „პატრიოტთა ალიანსის“ რეიტინგი 19-20%-ს შორის მერყეობს, 4% არ არის. ჩვენ გვაქვს შიდა კვლევის შედეგები და ვიცით, რომ ჩვენი რეიტინგი 4%-ზე მაღალია. მათაც აქვთ ეს კვლევები და იციან, რომ ჩვენი რეიტინგი მაღალია. ამ დროს აღმოაჩინეს ვინმე ირაკლი ლატარია, რომელიც განაწყენებული გახლდათ „პატრიოტთა ალიანსზე“. ამიტომ გატაცებისა და წამების მითი შექმნეს.

***— „პატრიოტთა ალიანსი“ ასე გაუფილტრავად ღებულობს პარტიაში ადამიანებს? მით უფრო, ლატარიას პარტიაში მაღალი თანამდებობა ეჭირა.***

— ლატარია ანალიტიკური ჯგუფის უფროსი იყო. „პატრიოტთა ალიანსი“ არის სუფთა ძალა და მიაჩნია, რომ მისი ყველა წევრი არის სუფთა.

***— ბიოგრაფიას არ კითხულობს?***

— „პატრიოტთა ალიანსი“ ღიაა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც დაგვანახებს, რომ თუნდაც ბოლო ეტაპზე წინა რეჟიმს ზურგი შეაქცია, მას აქვს ცოდნა და გამოცდილება. ამიტომ მათ ვიღებთ, რადგან „პატრიოტთა ალიანსი“ არის ჭეშმარიტად სახალხო ძალა.

ლატარიას გააქტიურების მეორე მიზეზია „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლების რუსეთში ვიზიტი. ნაცმოძრაობა თავს ულტრამემარჯვენედ მიიჩნევს. ამბობენ, თითქოს მხოლოდ ისინი არიან ევროპული ორიენტაციის ძალა.

***— რეალურად?***

— რეალურად, ყველაფერი რუსეთს ჩააბარეს. რადგან ნაცებმა ნახეს, რომ ჩვენი პარტიის ლიდერების, დეპუტატების ვიზიტი რუსეთში შედეგიანი იყო, გამოიკვეთა კონტურები, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების დაბრუნებაზე შეიძლება ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, კონკრეტული შეხვედრები კიდევ გაიმართება, ამიტომ ასპარეზზე გამოიყვანეს ლატარია.

ამდენად, ლატარია „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ გამოიყვანეს მართლა პრორუსებმა და საქართველოს მოწინააღმდეგეებმა. ის ცდილობს, ჩირქი მოსცხოს პარტიას, მაგრამ, რეალურად, არაფერი გამოუვა. ლატარია მე ვაჟკაცად მიმაჩნდა. თუ ნაწამები იყო და ცოლ-შვილის მოკვლით დაემუქრნენ, რატომ აქამდე არ ამოიღო ხმა.

***— ლატარიას რაიმე დოკუმენტები თუ აქვს ფაქტის დასამტკიცებლად?***

— არავითარი დოკუმენტები არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და ლატარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დისკრედიტაციის მიზნით, ყველაფერი მოიგონა. ის პარტიაზე განაწყენებულია. ყველაფერი უკავშირდება არჩევნებს და პოლიტიკას.

## გიორგი მარგველაშვილი ანა დოლიძეს გამოესარჩლა



— ანა დოლიძისნაირი უშიშარი, პრინციპული, პროფესიონალი ადამიანები ქმნიან ქვეყნის მომავალს და არა ისინი, რომლებიც ნებისმიერ მთავრობას ერგებიან. მეამაყება, რომ ანა დოლიძისნაირ ადამიანებთან ერთად ვემსახურები ჩემს სამშობლოს და მასთან ერთად ვარ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც მისი საპარლამენტო მდივნის, ანა დოლიძის, საპარლამენტო გამოსვლის ირგვლივ შექმნილ ვითარებას ეხმაურება.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაშია ნათქვამი, ანა დოლიძე არც ძველი კომკავშირელია და არც ახალი კომკავშირის მშენებელი, ანა დოლიძე არც „ნაციონალური მოძრაობიდან“ პორტირებულია „ქართულ ოცნებაში“ და არც მედროვე.

— ჩემი პრინციპი ყოველთვის იყო ანა დოლიძისნაირი ძლიერი, ღირებული ფასეულობების მქონე ადამიანებისთვის მიმეცა ქვეყნის სამსახურში ყოფნის შესაძლებლობა. ბევრისაგან განსხვავებით, ქვეყანაში მძიმე ვითარების დროს, ანა არასოდეს გაჩუმებულა, არ შეშინებია პრინციპული პოზიციის დაფიქსირება.

ხშირად მარტოც კი, მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე ადამიანი აპროტესტებდა გირგვლიანის მკვლელობას, როცა ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას, ანა იცავდა უსამართლობის მსხვერპლ ოჯახებს. ალბათ, ამიტომაც გახდა ანა დოლიძე შეურაცხყოფის სამიზნე „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლისთვის. ალბათ, ამ პრინციპულობის გამო უშლიან მას ხელს კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებაში. ალბათ, ამიტომ არის მიუღებელი არა მარტო საპარლამენტო მდივნის თანამდებობაზე, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად.

თავს მოვალედ მივიჩნევ, კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას, რომ სწორედ ანა დოლიძისნაირი უშიშარი, პრინციპული, პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანები ქმნიან ქვეყნის მომავალს და არა ის პიროვნებები, რომლებიც ერგებიან ნებისმიერ მთავრობას, რთულ ვითარებებში კი, საკუთარი სიჩუმის გადაფარვას აგრესიით და თავდასხმებით ცდილობენ. ასეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში უამრავი საჭირბოროტო საკითხია გადასაჭრელი, გამოგონილი დაპირისპირებების შექმნა, ხალხისთვის მნიშვნელოვანი დღის წესრიგიდან გაქცევა, ახალი არ არის, — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტი მოუწოდებს პარლამენტს, დაუბრუნდეს კანონშემოქმედებით საქმიანობას, დეპუტატები კი, კონცენტრირდნენ ქვეყანაში არსებულ რეალურ პრობლემებზე.

....

„საარჩევნო კოდექსსა“ და „თვითმმართველობის შესახებ კოდექსთან“ დაკავშირებით პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განხილვას პარლამენტის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა დოლიძეს შორის კამათი მოჰყვა.

— პარლამენტის თავმჯდომარე არის უზრდელი, თანამდებობისთვის შეუფერებელი, ეს არის ქართული პოლიტიკის „შარიკოვი“, — განაცხადა ანა დოლიძემ სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას.

საპარლამენტო უმრავლესობამ გაავრცელა განცხადება და პრეზიდენტს მოუწოდა, რომ შეწყდეს მისი წარმომადგენლების მხრიდან პარლამენტისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება.

**ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი: „პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, რომელიც ძალიან მალე დადგება, უკრაინაში ჩავალ“



საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, უკრაინაში დაბრუნდება.

— უკრაინაში დავბრუნდები, ვინაიდან ხალხის მობილიზაციას ექნება ადგილი. როდესაც სრული მობილიზაცია მოხდება, რა თქმა უნდა, მე გვერდზე არ დავდგები, არ დავჯდები და არ ვუყურებ გვერდიდან ამ ბრძოლას. პოლიტიკური ბრძოლის ორგანული ნაწილი ვიქნები, რომლის ინიცირებაც მე მოვახდინე. ბრძოლის გაზრდასთან ერთად, პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, რომელიც ძალიან მალე დადგება, მე, რა თქმა უნდა, უკრაინაში ჩავალ და ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე გავხდები, — განუცხადა სააკაშვილმა „ბი-ბი-სი“-ს.

მიხეილ სააკაშვილმა გამორიცხა ის, რომ უკრაინაში დაბრუნებას ვერ შეძლებს.

**ინტერპრესნიუსი**

# „სააკაშვილი არც საქართველოში სჭირდება ვინმეს, არც უკრაინაში და არც — ამერიკაში“

## სოსო შატბერაშვილი: „დღევანდელი კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა უგულავას კისერზეა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს მესამე პრეზიდენტის დღევანდელი მდგომარეობა გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე საქართველოში. „ახალი თაობა" ამ თემაზე ესაუბრა მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.**

**სოსო შატბერაშვილი:**

— სააკაშვილმა მოიმკო ის, რაც დათესა. იგი ისეთ ასაკშია, რომ პოლიტიკური კარიერა წინ უნდა ჰქონდეს. ამ ასაკში სააკაშვილმა თავი ჩაიგდო ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი პოლიტიკური მომავალი დასრულებულია. ადამიანურად, ჯანმრთელობას ვუსურვებ, მაგრამ მისი პოლიტიკაში ყოფნა დამთავრებულია.

მის სახელთან საქართველოში ასოცირდება სახელმწიფო გადატრიალება, რეპრესიები, ადამიანების წამება და გაუპატიურება არა მარტო ციხეებში, არამედ, სხვა სტრუქტურებში, ბევრი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. პირადად მისი ბრძანებით სასტიკად გაუსწორდნენ გენერალ გია შერვაშიძესა და ბიზნესმენ ვალერი გელაშვილს, სხვებს. მისი რეჟიმის სიმბოლოა შავ ზღვაში ჩაგდებული ადამიანი კისერზე გამობმული ქვით. დღეს სააკაშვილი ისეთ დღეშია, მტერს არ ვუსურვებ — ის არც საქართველოში სჭირდება ვინმეს, არც უკრაინაში და არც ამერიკაში. ექსპრეზიდენტი, ალბათ, იწანწალებს სხვადასხვა ქვეყანაში.

***— მის პარტიელებს ხომ სჭირდებათ? ნაცმოძრაობაში მის დასაცავად განცხადებები გააკეთეს.***

— ეს ფორმალური განცხადებებია მსოფლიოს დასანახად. სააკაშვილი ნაციონალურ მოძრაობასაც არ სჭირდება. ამ პირებს რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა სერიოზულად აღელვებდეთ, აქციებს გამართავდნენ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით.

სააკაშვილმა თავის დროზე ბევრი შემთხვევითი ადამიანი გაქაჩა. ზოგი ძაღლების მომთვინიერებელი იყო, ზოგი — ვიზაჟისტი, ზოგი — მცხობელი. სააკაშვილს უკვე ისინიც ემიჯნებიან, ვინც მისგან დავალებულია. ნაწილებად დაშლილი ნაციონალური მოძრაობა თავს კარგად გრძნობს სააკაშვილის გარეშე. ექსპრეზიდენტი თავის პოლიტიკურ კარიერას შერცხვენილი ასრულებს. ის არის ბრძოლის ველიდან გაქცეული და ომწაგებული უმაღლესი მთავარსარდალი, რომელმაც 2008 წლის ხანმოკლე ომს ბევრი ახალგაზრდა და ტერიტორია შესწირა. ძალიან ცინიკურად მეჩვენა რუსეთის პრემიერ მედვედევის განცხადება. მან სააკაშვილის პოლიტიკურ ბიოგრაფიას ფანტასტიკური ტრაგიკომედია უწოდა. კარგი იქნებოდა, საქართველოს ჰყოლოდა მესამე პრეზიდენტი, რომელიც დაცინვის საგანი არ გახდებოდა.

***— სააკაშვილი ნაცმოძრაობის არაფორმალური ლიდერია. ეს პარტია ისევ მთავარ ოპოზიციად რჩება?***

— საუბედუროდ, რჩება. ამას ვამბობ არა რომელიმე ორგანიზაციის სოციოლოგიური კვლევის, არამედ, ბოლო არჩევნების შედეგების საფუძველზე. პარტია, რომლის გასამართლება-



საც მოითხოვდა საზოგადოება, მათ შორის ჩვენი პარტიაც, ისევ მთავარი ოპოზიციაა. სხვები ძალიან სუსტები და დაქსაქსულები არიან. გულდასაწყვეტია, რომ ის ოპოზიციონერები, რომლებიც ნაცმოძრაობის დროს ჩვენი თანამებრძოლები იყვნენ და ჩვენ ყველას ერთად გვარბევდა ნაცმოძრაობა, დღეს ნაცმოძრაობასთან ერთად ერთ მაგიდასთან სხედან.

***— კონსტიტუციაზე სასაუბროდ?***

— კონსტიტუციაში შესატანი საარჩევნო საკითხები საბაბია. მიზეზი ის არის, რომ ეს პოლიტიკური ძალები ცდილობენ სხვის ხარჯზე შედეგის მიღწევას არჩევნებზე. ჩვენმა პარტიამ, ასევე ჯონდი ბაღათურიამ, კატეგორიული უარი ვთქვით ნაციონალებთან თანამშრომლობასა და ურთიერთობაზე. ჩვენ მათ არცერთ საკითხზე არ ველაპარაკებით.

***— ადგილობრივი არჩევნების წინ ნაციონალებს არც ისე ცუდი პოზიცია უკავიათ.***

— ჯერჯერობით ასეთი სურათი გვაქვს, ყოფილი თუ ახლანდელი ნაციონალების პრეტენზიები კი აბსურდამდე დადის. მაგალითად, თბილისში რომ საშინელი ეკოლოგიური მდგომარეობაა, ყველამ ვიცით, ხეებიც იჩეხება. რატომღაც აქ ყველას ავიწყდება ყოფილი მერის უგულავას სახელი.

***— მას მიუძღვის ამაში წვლილი?***

— დღევანდელი კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა უგულავას კისერზეა. ტროლეიბუსი და ტრამვაი მაგან მოსპო, ლიანდაგები კი ჯართად გაყიდა. ონკოლოგიურმა დაავადებებმა ამ დროიდან იმატა. მოვუწოდებდით უგულავას, არ დაენგრია დეზერტირების ბაზარი. იქ უნდოდათ 11-სართულიანი შენობის წამოჭიმვა. პირადად მე ვამბობდი, რომ მეტროს გამო ეს შეუძლებელია. დღეს დანგრეული ბაზრის ადგილზე ფანჩატურია, ხალხი კი მოკლებულია ნორმალურ ბაზარს.

გიგი უგულავა ციხეში მსუბუქი დანაშაულისთვის გაუშვეს. მას უარესი აქვს ჩადენილი. მის თანაპარტიელ ბოკერიასაც არ უგია პასუხი თავის ქმედებებზე. ბოკერია გლდანის ეკლესიაზე თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილეა. სავალალო ის არის, რომ ვერც უცხოეთიდან ხერხდება დამნაშავე ნაციონალების ექსტრადირება. უდესიანისა და კეზერაშვილის გადმოცემაზე უარი თქვეს უნგრეთისა და საფრანგეთის სასამართლოებმა. სამაგიეროდ, საქართველოს ყველა ყველაფრის გაკეთებას აიძულებს, მაგალითად, დემირელის კოლეჯის მენეჯერ ჩაბუქის გადაცემას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იაქტიუროს, პრინციპულობა გამოიჩინოს და ქვეყნის პრესტიჟი დაიცვას.

# „საქართველოს ხელისუფლებას უნდა სააკაშვილი ორთაჭალის ციხეში, რომელსაც ნახევარ საათში აიღებს საქართველოს მოსახლეობა“

## რომან გოცირიძე: „სააკაშვილმა ნებისმიერი გზით უნდა დაიბრუნოს უკრაინის მოქალაქეობა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**



***— ბატონო რომან, სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა აქტუალური თემაა. მისი თანაგუნდელები აცხადებენ, რომ პოროშენკოს საქართველოში ვიზიტის დროს მოხდა ამ საკითხზე შეთანხმება. მთავრობა ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. რას იტყვით თქვენ?***

— რა თქმა უნდა, ეს ცალსახად შეთანხმებისა და გარიგების საკითხია. საქართველოს ხელისუფლების ქმედებებში ძალიან ბევრი რაღაც თეთრი ძაფით არის ნაკერი და ძალიან ემთხვევა ხოლმე გარკვეულ ვიზიტებს. თუნდაც თურქი მასწავლებლის დაპატიმრება ავიღოთ ან აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცება.

***— ეს ყველაფერი ვიზიტების შემდეგ ხდება და ეს შემთხვევითი არ არის?***

— რასაკვირველია. ან ვიზიტების შემდეგ ხდება, ან ფარული გარიგების შემდეგ. ეს არის ძალიან უჭკუო ქმედება უკრაინის ხელისუფლებისა, ვინაიდან ეს კარგს არაფერს მოუტანს უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით, უკრაინის ხელისუფლების იმიჯს საერთაშორისო თვალსაზრისით. მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში სულ რაღაც ორ წელიწადში გახდა პირველი ალტერნატივა უკრაინის ხელისუფლებისა.

***— იმის თქმა გინდათ, რომ პოროშენკომ საფრთხე იგრძნო?***

— დიახ, როგორც კი იგრძნეს, რომ სააკაშვილია ამ ხელისუფლების შემცვლელი, მთავარი ალტერნატივა, მაშინვე ჩამოართვეს მოქალაქეობა. მიხეილ სააკაშვილი უკრაინისთვის არის ისტორიული მოვლენა. განა იყო, ახლაც არის. კიდევ ბევრი რამ მოხდება უკრაინაში მიშას მონაწილეობით.

***— ის აღარ არის უკრაინის მოქალაქე, ვერც ბრუნდება იქ და როგორ?***

— ამას არა აქვს მნიშვნელობა, ქვეყნის შიგნით იქნება თუ მის გარეთ. მიშას გარეშე უკრაინაში იქნებოდა გაუმჭვირვალე, ოლიგარქების სცენარით მართული პოლიტიკური ცხოვრება. მიშამ უკრაინას ასწავლა პოლიტიკური ცხოვრების გემო, რომელიც თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის მომავალში. ეჭვიც არ მეპარება, რომ მიშა გაიმარჯვებს, რადგან მიშა მაგარია! სააკაშვილი უკრაინაში იქნება თუ მის გარეთ, ის აუცილებლად იქნება უკრაინული პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა.

***— საქართველოსი — აღარ?***

— სააკაშვილი საქართველოში ყოველთვის არის. საქართველო არ შედგებოდა, როგორც ქვეყანა, რომ არა მიხეილ სააკაშვილი, მისი გუნდი და მისი რეფორმები. მას ნებაყოფლობით არ მიუტოვებია ეს ქვეყანა. ის გააძევეს ქვეყნიდან. მისთვის საქართველოს მოქალაქეობა ნიშნავდა მუდმივ დევნას ინტერპოლითა თუ სხვა საშუალებებით, გადაადგილების შეზღუდვასა და ტყვეობაში ყოფნას რომელიმე უცხოურ სახელმწიფოში.

ის ფაქტი, რომ ის გახდა უკრაინის მოქალაქე და უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებას ახალი სიცოცხლე შესძინა, დადებითი იყო მთლიანად რეგიონული პოლიტიკისთვის. ეს პროცესები გრძელდება და სააკაშვილი დიდხანს იქნება არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი აქტორი.

***— დღეს ამერიკის ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ უკრაინის პირადი საქმეა, ჩამოართმევს თუ არა მოქალაქეობას. რატომ გადგა განზე დღეს ამერიკა, რომელიც ყოველთვის სააკაშვილის მხარდამჭერად მოიაზრებოდა?***

— ეს ყოველთვის ზღაპრები იყო, რომ აი, სააკაშვილის უკრაინაში ჩასვლა ამერიკამ ურჩია უკრაინის ხელისუფლებას. ამერიკამ შეიძლება ბევრი ვინმე ურჩიოს, ასე არ არის. მსოფლიოს ქვეყნების 100 გადამდგარი პრეზიდენტიდან უმრავლესობა უკრაინაში რომ ჩავიდეს. 1.000-კაციან პარტიასაც კი ვერ შექმნიან.

***— ამით რის თქმა გინდათ?***

— იმის, რომ მიშას მასშტაბი სულ სხვა არის. უკრაინა იყო მისთვის ახლობელი და ორგანული ნაწილი და უკრაინის ახალი პოლიტიკური ელიტა იყო სააკაშვილის თაობა, პოროშენკო კი მისი უნივერსიტეტის მეგობარი იყო. ასე რომ, აქ ამერიკული კვალი არის შეთქმულების თეორიების ახალი ვერსიები.

***— ამერიკის ელჩის განცხადებაზე რას იტყვით?***

— ამერიკის ელჩის განცხადება არის დიპლომატიური განცხადება, რომ ეს უნდა მოხდეს უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად. უკრაინას თუ აქვს ამის საფუძველი, ბუნებრივია, რომ მასში ვერც ამერიკა ჩაერევა, ვერც საქართველო და ვერც ინდოეთი, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინამ დაარღვია საკუთარი კონსტიტუცია, დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

როდესაც უკრაინას საქართველომ მოსთხოვა მიხეილ სააკაშვილის გადაცემა, იქიდან პასუხი მიიღო, რომ არ არსებობდა ამის საფუძველი, ეს დევნა იყო პოლიტიკური და სწორედ ამის შემდეგ მიანიჭა მოქალაქეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მშვენივრად იცოდნენ სააკაშვილის უდანაშაულობის შესახებ. მიშას არც არაფერი დაუმალავს, ან რა იყო დასამალი, როდესაც მთელ მსოფლიოში სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ მიხეილ სააკაშვილის დევნა პიჯაკების საქმეზე.

***— მაშინ დღეს რა შეიცვალა, რატომ ჩამოართვეს მოქალაქეობა?***

— დღეს ამბობენ, რომ აღმოჩნდა ახალი გარემოებები და ვითომ საქართველოს ხელისუფლებამ დამატებითი ინფორმაციები მიაწოდა. აღმოჩნდა, რომ არანაირი ინფორმაციები არ არის მიწოდებული აქედან. აღძრულია ოთხი საქმე და ოთხივე — თითიდან გამოწოვილი. განაჩენი არ დამდგარა არცერთ საქმეზე და ვერც დადგება. მომღერლისთვის თაიგულის ჩუქებაზე ან კოსტიუმების საქმეზე რა განაჩენი უნდა დადგეს?!

ამიტომ, ბუნებრივია, ეს იყო უკრაინის ხელისუფლების ძალიან უხეში პოლიტიკური გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, მათ იმდენად ეშინიათ სააკაშვილის, რომ აირჩიეს ის გზა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მათ. სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სერიოზული ფაქტორი გახდება შიდა უკრაინულ ცხოვრებაში.

***— რამდენად უშვებთ, რომ მოხდეს სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოში?***

— ეს სისულელეა, გამორიცხულია. 0%-ია ამის შანსი. საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიხეილ სააკაშვილი ორთაჭალის ციხეში, რომელსაც ნახევარ საათში აიღებს საქართველოს მოსახლეობა.

***— რომელი მოსახლეობა, მისგან გამწარებული?***

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ მიშას მინიმუმ ნახევარი მილიონი მხარდამჭერი ჰყავს. აიღებენ, რადგან მისი დაპატიმრება იქნება სრულიად უსამართლო. უსამართლობასაც თავისი ზღვარი აქვს. ამიტომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ყოფნა ნიშნავს ამ ხელისუფლების გამორეკვას კაბინეტებიდან! ისინი ვერ შეძლებენ სააკაშვილის ციხეში გაჩერებას, გაუჭირდებათ მისი იქ დატოვება.

***— ანუ ხელისუფლებას არ აწყობს სააკაშვილი საქართველოში?***

— რა თქმა უნდა, არ აწყობს. შეთანხმების შედეგი ის კი არ იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი გადმოეცათ.

***— აბა, რა იყო?***

— ეს, უბრალოდ, იყო ვალის მოხდა. მოსაძებნი იყო ისეთი მექანიზმი, რომ მიხეილ სააკაშვილი არ ყოფილიყო არც უკრაინაში და არც საქართველოში. ამ ქვეყნებში მიშას ყოფნა ნიშნავს ხელისუფლების ცვლილებას. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ის მოეცილებინათ ქვეყნისთვის და ეს იყო საკმაოდ ვერაგული გეგმა ივანიშვილისა და პოროშენკოსი, რომელიც წარმატებით იქნა შესრულებული.

***— სააკაშვილი აცხადებს, პირისპირ შეხვდნენ ივანიშვილი და პოროშენკო და მაშინ შეთანხმდნენ ამ საკითხზეო. ასეა?***

— რადგან აცხადებს, ე.ი. ასეა. მას აქვს მეტი შესაძლებლობა, მიიღოს ზუსტი ინფორმაციები, ვიდრე ჩვენ. პოროშენკო ბათუმში იმყოფებოდა და რა პრობლემა იყო ივანიშვილთან შეხვედრა?! თუმცა გარიგებას მაინცდამაინც პირადი შეხვედრები არ სჭირდება. ყოველთვის არსებობენ შუამავლები.

***— სააკაშვილი ჰაერშია გამოკიდებული. ევროპარლამენტში გაისმა ინიციატივა ლიტველი დეპუტატის, რომ ლიტვის მოქალაქეობა მიენიჭოს. აქვს სააკაშვილს შეთავაზება კიდევ რომელიმე ქვეყნიდან?***

— სააკაშვილს უამრავი ქვეყანა მიანიჭებს სიამოვნებით მოქალაქეობას, თუმცა ეს არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს, უსამართლოდ ჩამოერთვა საქართველოს და უკრაინის მოქალაქეობა. ვინაიდან სააკაშვილი არის ოლიგარქის პირადი დევნილი, მასზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და ის საქართველოში ვერ ჩამოდის, მისთვის უკრაინა არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასპარეზი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის. ამიტომ სწორი და სამართლიანი იქნება, რომ სააკაშვილმა ნებისმიერი გზით დაიბრუნოს უკრაინის მოქალაქეობა. ის იბრძოლებს ამისთვის.

***— არის ამის შანსი?***

— რა თქმა უნდა, არის. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მიშა არ დაიკარგება. ის ყოველთვის იქნება დიდი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი.

# „ბინის მყიდველი არასდროს მოატყუოთ“

## რა უნდა ვიცოდეთ ბინის გაყიდვის დროს



ბინის გაყიდვა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და საცხოვრებელ ფართში დიდი თანხის გადახდა ბევრს არ შეუძლია.

გარდა ამისა, თბილისში ძალიან ბევრი ახალი კორპუსი შენდება, რაც ძველ კორპუსებს სერიოზულ კონკურენციას უწევს. როგორ შევადგინოთ და გამოვაქვეყნოთ განცხადება ისე, რომ ჩვენი ბინით უფრო მეტი პოტენციური მყიდველი დაინტერესდეს და მაქსიმალური შედეგი მივიღოთ? ეს შეკითხვა უძრავი ქონების სააგენტო „კიბის“ ხელმძღვანელ ნელი გოგუაძეს დავუსვით.

**ნელი გოგუაძე:**

– თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს უძრავი ქონების რეალიზაციის დროს სულ უფრო აქტიურად იყენებენ. განცხადება ბინის გაყიდვის თაობაზე შეიძლება განათავსოთ სპეციალურ საიტზე ან გაზეთში. განცხადებაში უნდა ჩაიწეროს საცხოვრებელი ბინის მისამართი: რომელ უბანში და რომელ კორპუსში მდებარეობს ის. სასურველია მიუთითოთ, ძველი კორპუსია თუ ახლად აშენებული. ჭერის სიმაღლე, ოთახების რაოდენობა და ბინის ფართობი ზუსტად უნდა მიუთითოთ.

ასევე სასურველია, მიუთითოთ ოთახების და სველი წერტილების რაოდენობა, კუთხის ბინა ხომ არ არის და აქვს თუ არა გამავალი ოთახები. თუ ბინა გარემონტებულია, უნდა მიუთითოთ, როდის გააკეთეთ რემონტი და მიუთითოთ მისი აღწერილობაც. სასურველია, განცხადებაში ჩაწეროთ, თუ რით არის კორპუსი ნაშენები – ეს არის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც განცხადებაში უნდა გაითვალისწინოთ.

*– ასეთ განცხადებებს თითქმის ყოველთვის ახლავს ფოტოები. რა უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც გასაყიდ ბინას სურათს ვუღებთ?*

– პირველ რიგში, ეს ფოტოები რეალური უნდა იყოს, სადაც კარგად ჩანს ბინის ნაკლოვანებაც და ღირსებაც. როდესაც პოტენციური მყიდველი ამ სურათებს ნახავს, სრულყოფილი წარმოდგენა უნდა შეექმნას თქვენს ბინაზე. ზოგჯერ აგზავნიან სურათებს, რომლებიც სინამდვილეს ოდნავაც არ შეეფერება. არ შეიძლება ოთახები ზედმეტად ლამაზი ჩანდეს, მაგალითად, ამას წინათ გადმომიგზავნეს საძინებლის ფოტო, სადაც საძინებელი ოთახის ნაცვლად საწოლი ჩანდა. სურათებში ოთახები მთლიანად უნდა ჩანდეს. ასევე სასურველია, განცხადებას დაერთოს გასაყიდი ბინის ნახაზი, რომელიც მყიდველს უფრო ზუსტ წარმოდგენას შეუქმნის, რადგან ნახაზში კარგად ჩანს ოთახების განლაგება და ბინის საერთო სურათი.

*– ხშირად ბინას მიშენებაც აქვს, რომელიც დაუსრულებელია. მისი ფოტოც უნდა დაიდოს?*

– რა თქმა უნდა, თუ გასაყიდ ბინას აქვს მიშენება, რომელიც კარკასულ მდგომარეობაშია, აუცილებლად უნდა მიუთითოთ. მყიდველი ბინის სანახავად რომ მოვა, ხომ ნახავს, რომ მიშენება გასარემონტებელია? ამიტომ, ეს საკითხიც წინასწარ უნდა გააცნოთ პოტენციურ მყიდველებს. დავუშვათ, თქვენი ბინის ფართობი მთლიანობაში 100 კვ.მეტრია და აქედან 40 კვ.მ. მიშენებას უკავია. განცხადებაში ეს ფაქტიც უნდა მიუთითოთ. რა თქმა უნდა, მიშენება ლეგალიზებული უნდა იყოს და ბინის მფლობელს ხელთ უნდა ჰქონდეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ამ შემთხვევაში ის ჩვეულებრივ შევა გასაყიდი ბინის ფართობში.

*– ბინის საერთო ფართში აივანიც შედის?*

– რასაკვირველია. თუ დიდი აივანი (ან აივნები) გაქვთ, განცხადებაში უნდა ჩაწეროთ, რომ თქვენი ბინის მთლიანი ფართობი 100 კვ.მეტრია, ოღონდ, აქედან საცხოვრებელი ფართი არის 90 კვ.მ., ხოლო 10 კვ.მ. აივანს უკავია.

*– განცხადებაში უზუსტობა დასაშვებია?*

– არავითარ შემთხვევაში. მყიდველი რომ მოვა, სინამდვილეს ხომ მაინც დაინახავს? ამიტომ, აზრი არ აქვს დამალვას. მე ყოველგვარი უზუსტობისა და ტყუილის წინააღმდეგი ვარ. ასეთი რამ გამყიდველის იმიჯზეც ცუდად მოქმედებს და ბროკერის იმიჯზეც. ჯობია, განცხადებაში საერთოდ არაფერი ჩაწეროთ, ვიდრე დაუზუსტებელი და ცრუ ინფორმაცია მიაწოდოთ.

ეს ფოტოებსაც ეხება: ხშირად კომერციულ ფართს როცა ყიდიან, რეალური სურათის ნაცვლად, ინტერნეტიდან ამოღებულ სურათებს დებენ. ჯობია, ფოტო საერთოდ არ დადოთ, ვიდრე სხვა რამის სურათი გამოაქვეყნოთ. არარეალური არც ინფორმაცია ვარგა და არც – სურათი. მით უმეტეს, როცა საქმეში უძრავი ქონების სააგენტოა ჩართული: მე რომ წავიყვან ადამიანს და იქ სულ სხვა რამ დახვდება, ვინ გამოვდივარ? მატყუარა ბროკერი. ჩემს იმიჯს ასე იოლად ვერ შევლახავ – სწორედ ასე ფიქრობს ყველა ნორმალური ბროკერი და უძრავი ქონების სააგენტოს წარმომადგენელი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# „რომანოვების რეზიდენციის“ რეაბილიტაციისთვის 771.000 ლარი დაიხარჯება



„საპარტნიორო ფონდი“ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ლიკანის კომპლექსის, „რომანოვების რეზიდენციის“ რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს იწყებს.

ამ ეტაპზე მოხდება რომანოვების სასახლის, ორანჟერიისა და საკონფერენციო დარბაზის, აგრეთვე, პარკისა და ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის რეაბილიტაციის პროექტირება. ამასთანავე, ჩატარდება სასახლის მუზეუმოგრაფიული კვლევა და შეიქმნება მთლიანი კომპლექსის გენერალური გეგმა.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 771.000 ლარი დაიხარჯება. საპროექტო სამუშაოების ხანგრძლივობაა 8 თვე. პროექტირების დასრულებისთანავე დაიგეგმება სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიკანის პარკს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი გასულ კვირას მიენიჭა.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და „საპარტნიორო ფონდს“ შორის 2016 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ფონდმა კომპლექსის რესტავრაცია-რეაბილიტაციის ვალდებულება აიღო. კომპლექსის პროექტირებისა და მომდევნო რეაბილიტაცია-რესტავრაციის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით „საპარტნიორო ფონდი“ აქტიურად თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

**კომერსანტი**

# ბაზისბანკი: „მნიშვნელოვანია, რომ მიწა ლიკვიდური აქტივი იყოს“



– მნიშვნელოვანია, მიწა იყოს ლიკვიდური.

ამის შესახებ ბაზისბანკის გენერალური დირექტორი უცხოელებზე მიწის მიყიდვაზე დაწესებული მორატორიუმის თემაზე კომენტირებისას აცხადებს.

დავით ცაავას თქმით, აღნიშნულ საკითხზე ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ საბანკო ასოციაციასთან და იმედი აქვთ, რომ მოხდება დაზუსტება, რათა საბანკო სექტორმა მომავალშიც გააგრძელოს აგრობიზნესის დაკრედიტება.

– მნიშვნელოვანია რომ მიწის თემაზე ლიკვიდობის საკითხი იყოს მაღალი. ჩვენი ბანკი ძალიან აქტიურად არის ჩართული აგრობიზნესის დაფინანსებაში და ჩვენი მიზანია, აგრომიმართულებით პორტფელი გავზარდოთ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მიწა იყოს ლიკვიდური და არსებობდეს მყიდველების პოტენციური ბაზარი. დარწმუნებული ვარ, გარკვეული დაზუსტებები იქნება და, შესაბამისად, საბანკო სექტორი შეძლებს, ხელი შეუწყოს აგრობიზნესის განვითარებას მომავალში, – განაცხადა დავით ცაავამ.

**ბიზნესმედია**

# ილია ელოშვილის მესამე მოადგილე თორნიკე რიჟვაძე გახდა



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ ილია ელოშვილს ახალი მოადგილე ჰყავს.

როგორც „საქმის კურსს“ ილია ელოშვილმა განუცხადა, მისი მესამე მოადგილე თორნიკე რიჟვაძე იქნება, რომელსაც ამ დრომდე ინდური კომპანია „ტატა ფაუერის“ მთავარი იურისტის პოზიცია ეკავა.

– თორნიკე რიჟვაძე არის ძალიან კარგი იურისტი, რომელიც იცნობს ენერგეტიკის სექტორს. აქვს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოცდილება აქვს მოსახლეობასთან მოლაპარაკებების პროცესში, – განუცხადა „საქმის კურსს“ ელოშვილმა.

ილია ელოშვილმა ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე კახი კალაძე შეცვალა. ენერგეტიკის მინისტრს სულ სამი მოადგილე ჰყავს – მარიამ ვალიშვილი, ირაკლი ხმალაძე და თორნიკე რიჟვაძე.

თორნიკე რიჟვაძეს უმაღლესი განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აქვს მიღებული. 2012 წელს სწავლობდა აშშ-ში, ლიჰაიას უნივერსიტეტში, 2012-2013 წლებში კი – ლონდონში, სიტის უნივერსიტეტში, სადაც საერთაშორისო ბიზნესსამართლის მაგისტრი გახდა. 2015 წლიდან დღემდე ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაზე სწავლობს. პარალელურად, 2017 წლიდან ენერგოსექტორის რეგულირების მიმართულებით განათლებას ფლორენციის რეგულირების სკოლაში იღებს.

ენერგეტიკის მინისტრის ახალი მოადგილე 2010-2011 წლებში გაერო-ს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში ბიზნეს კონსულტანტი/დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინატორი იყო; 2011-2012 წლებში სს „ოუფენ რევოლუშენ ჯორჯიაში“ აჭარის რეგიონალური მენეჯერის პოზიცია ეკავა; 2014-2016 წლებში აჭარის ა.რ. მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში საინვესტიციო და ეკონომიკურ საკითხებში მრჩეველი იყო, 2013 წლიდან დღემდე კი კომპანია „ტატა ფაუერში“ მუშაობდა.

**ბიზნესმედია**

# კონკურენციის სააგენტო სოკარის საქმეს ხელახლა შეისწავლის



სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონკურენციის სააგენტო სოკარის საქმეს ხელახლა შეისწავლის.

სააგენტოში „საქმის კურსს“ განუცხადეს, რომ ნავთობკომპანიების საქმეზე სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში მიმდინარეობს 9 სასამართლო დავა, საიდანაც ერთ-ერთი საქმე, უზენაესი სასამართლოს მიერ, ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა კონკურენციის სააგენტოს და ხელახალი შესწავლა ხდება. დანარჩენი საქმეები, ამ ეტაპზე, არ არის დასრულებული.

– დავების დასრულების შემდეგ კონკურენციის სააგენტო იმოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწვდის ინფორმაციას, – განმარტავენ უწყებაში.

2015 წელს ნავთობკომპანიების, მათ შორის, „სოკარის“ დაჯარიმების გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიღო. 9 კომპანიის საერთო ჯარიმამ დაახლოებით 55 მილიონი ლარი შეადგინა.

**ბიზნესმედია**

# თამბაქოს ინდუსტრია მთავრობასა და პარლამენტს მართავს?

## რა ეჭვი აქვს „თამბაქოს კონტროლის ალიანსს“



– ჩნდება ეჭვი, რომ თამბაქოს ინდუსტრია მთავრობისა და პარლამენტის ნაწილს მართავს, მეტიც, ისინი მან საკუთარ მარიონეტებად აქცია.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. როგორც „თამბაქოს კონტროლის ალიანსიდან“ იუწყებიან, 26 ივლისს, საქართველოს პარლამენტის წევრებმა, 2017 წლის 17 მაისს მათ მიერვე მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილება თამბაქოს კოლოფის სადა შეფუთვასთან დაკავშირებით (რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის თამბაქოს ნაწარმისათვის ერთიან სტანდარტიზებულ შეფუთვას) ხელახალი განხილვის საგნად აქციეს და მისი ამოქმედება 2018 წლის 1 იანვრის ნაცვლად, 2022 წლის 31 დეკემბრამდე, 5 წლით გადაავადეს.

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საკუთარი უპრინციპობა. მათივე ინფორმაციით, პარლამენტის მხრიდან აღნიშნული ინიციატივა ანრი ოხანაშვილს ეკუთვნოდა.

– ამ შეთქმულების ავტორები ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანიის, „ჯაპან თობაქო ინტერნეიშენალის“, „ფილიპ მორისის“, „იმპერიალ თობაკოს“ წარმომადგენლები არიან, რომელთაც კულუარებში მოახერხეს კონკრეტული მაღალი თანამდებობების პირებისა და შემდგომში პარლამენტის წევრების გადაბირება და პარლამენტს ახალგაზრდებისათვის არამიმზიდველი თამბაქოს შეფუთვის შემოღება 5 წლით გადაავადებინეს. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ თამბაქოს ინდუსტრია მთავრობისა და პარლამენტის ნაწილს მართავს, მეტიც, ისინი მან საკუთარ მარიონეტებად აქცია, – აცხადებენ ალიანსში.

ალიანსში იმედოვნებენ, რომ დეპუტატები შეცდომას მალევე გაიაზრებენ და საკითხის ინიცირებას თავიდან მოახდენენ, რათა სადა შეფუთვა უახლოესი ერთი წლის განმავლობაში შევიდეს ძალაში.

**ბიპიენი**

# ქვემო ქართლში 5 მილიონი დოლარის 2 ბიზნესპროექტი შეჩერდა

ქვემო ქართლში ორი ბიზნესპროექტი შეჩერდა. საუბარია ბოლნისში შაქრის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასა და დმანისში, პანტიანის ტბაზე, 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის ამოქმედებაზე. საერთო ჯამში, ქვემო ქართლში ამ ორი პროექტით 5 მილიონი დოლარის ინვესტირება იგეგმებოდა.

შაქრის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას აზერბაიჯანული კომპანია „გარაგაია“ აპირებდა. საუბარი იყო ადგილზე 3 მილიონი დოლარის ჩადებასა და 40 ჰა ტერიტორიაზე საწარმოს ამოქმედებაზე. პანტიანის ტბის პროექტის განხორციელებას კი საქართველოში „ტუბორგის“ წარმომადგენლობა გეგმავდა.

ქვემო ქართლის გუბერნატორი გრიგოლ ნემსაძე „საქმის კურსთან“ განმარტავს, რომ ორივე შემთხვევაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან კომპანიების მიმართ ხელშეწყობა იყო, თუმცა, რატომღაც მათ ინვესტირება შეაჩერეს. გრიგოლ ნემსაძის თქმით, პირველ და მეორე შემთხვევაშიც კომპანიებს მუნიციპალიტეტებმა შესაბამისი ტერიტორიები გამოუყვეს.



გუბერნატორი ამბობს, რომ სასტუმრო კომპლექსის შემთხვევაში ხელშეკრულებას ვადა სექტემბერში გაუვიდა, კომპანიას კი არცერთი ვალდებულება შესრულებული არ აქვს. ხელშეკრულებით, „ტუბორგის“ წარმომადგენლობას სასტუმროს მშენებლობასთან ერთად ტბის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურაც უნდა მოეწყო.

**ბიზნესმედია**

# ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში მიმდინარე წლის ოქტომბერში შევა



ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში მიმდინარე წლის ოქტომბერში შევა. ინფორმაციას ამის შესახებ ყაზახეთის სარკინიგზო კომპანია ავრცელებს.როგორც სააგენტო „ტრენდის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, „ყაზახეთის რკინიგზის“ ხელმძღვანელს კანატ ალპისბაევს ამის შესახებ აზერბაიჯანსა და საქართველოში სამუშაო ვიზიტით სტუმრობისას განუცხადეს.

– ყაზახი რკინიგზელები და ჩვენი ჩინელი კოლეგები ელიან ახალი სარკინიგზო ხაზის გახსნას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გაფართოვდეს სატვირთო გადაზიდვების გეოგრაფია თურქეთთან დერეფნის დაკავშირებით, – აღნიშნა ალპისბაევმა.

მისივე თქმით, ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალის მეშვეობით ყაზახეთიდან ტრანზიტის გზით 2020 წლისთვის ყოველწლიურად ტვირთების 2 მილიონ კონტეინერამდე გაზრდა იქნება შესაძლებელი.

**ბიპიენი**

# ფინანსური ანგარიშგება

თიბისი ბანკი
TBC BANK

ბანკი: სს თიბისი ბანკი
თარიღი: 6/30/2017

ცხრილი 1 — ძირითადი მაჩვენებლები

| N | | ივნისი | მარტი | დეკემბერი | სექტემბერი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| N | | T | T-1 | T-2 | T-3 | T-4 |
| | საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი) | | | | | |
| | *ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით* | | | | | |
| 1 | ძირითადი პირველადი კაპიტალი | 1,238,969,815 | 1,073,218,274 | 996,565,758 | 1,091,683,823 | 999,171,712 |
| 2 | პირველადი კაპიტალი | 1,282,880,215 | 1,115,243,874 | 1,041,269,758 | 1,124,610,143 | 999,171,712 |
| 3 | საზედამხედველო კაპიტალი | 1,732,760,891 | 1,472,704,158 | 1,422,020,927 | 1,368,701,671 | 1,241,527,614 |
| | რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი) | | | | | |
| 4 | რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით) | 11,866,001,240 | 9,878,144,530 | 10,021,457,714 | 8,427,760,298 | 7,912,547,165 |
| 5 | რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით) | 11,607,716,086 | 9,170,536,876 | 9,400,245,093 | 7,810,163,340 | 7,434,550,684 |
| | კაპიტალის კოეფიციენტები | | | | | |
| | *ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით* | | | | | |
| 6 | ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ( ≥ 7.0 %) | 10.44% | 10.86% | 9.94% | 12.95% | 12.63% |
| 7 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ( ≥ 8.5 %) | 10.81% | 11.29% | 10.39% | 13.34% | 12.63% |
| 8 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ( ≥ 10.5 %) | 14.60% | 14.91% | 14.19% | 16.24% | 15.69% |
| | *ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით* | | | | | |
| 9 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ( ≥ 6.4 %) | 9.57% | 14.04% | 10.94% | 11.86% | 12.44% |
| 10 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ( ≥ 9.6 %) | 14.70% | 15.09% | 14.15% | 17.28% | 16.45% |
| | მოგება | | | | | |
| 11 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 9.04% | 7.77% | 9.08% | 9.42% | 9.50% |
| 12 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.18% | 3.34% | 3.60% | 3.61% | 3.73% |
| 13 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.34% | 3.69% | 4.61% | 4.50% | 4.22% |
| 14 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 4.86% | 4.43% | 5.49% | 5.81% | 5.78% |
| 15 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 3.13% | 2.96% | 3.63% | 3.69% | 2.85% |
| 16 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 20.66% | 18.51% | 21.91% | 21.66% | 16.73% |
| | აქტივების ხარისხი | | | | | |
| 17 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 3.32% | 4.09% | 4.33% | 5.15% | 6.89% |
| 18 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 4.68% | 4.85% | 5.22% | 5.56% | 6.51% |
| 19 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 60.46% | 62.30% | 66.06% | 63.20% | 66.03% |
| 20 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 56.42% | 56.34% | 59.16% | 58.46% | 57.38% |
| 21 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 25.17% | -3.05% | 27.64% | 7.24% | 0.63% |
| | ლიკვიდობა | | | | | |
| 22 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 22.90% | 17.55% | 19.15% | 21.80% | 21.84% |
| 23 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 66.32% | 70.11% | 72.66% | 71.08% | 72.82% |
| 24 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 39.66% | 37.31% | 37.95% | 36.01% | 37.74% |

ბანკი: სს თიბისი ბანკი
თარიღი: 6/30/2017

ცხრილი 2 — საბალანსო უწყისი — *ლარებით*

| | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივები | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 168,842,351 | 208,557,852 | 377,400,203 | 131,304,613 | 113,686,266 | 244,990,879 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 144,571,657 | 1,076,199,607 | 1,220,771,264 | 30,536,104 | 627,841,728 | 658,377,832 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 1,618,544 | 550,653,868 | 552,272,412 | 8,328,142 | 45,850,460 | 54,178,602 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 985,941,809 | 1,119,581 | 987,061,390 | 621,413,014 | 0 | 621,413,014 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 2,918,766,384 | 4,462,422,245 | 7,381,188,629 | 1,579,500,273 | 3,069,679,896 | 4,649,180,169 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -141,599,689 | -203,687,452 | -345,287,140 | -94,754,330 | -207,721,237 | -302,475,567 |
| 6 | წმინდა სესხები | 2,777,166,696 | 4,258,734,793 | 7,035,901,488 | 1,484,745,943 | 2,861,958,659 | 4,346,704,602 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 57,132,374 | 27,186,417 | 84,318,791 | 34,602,013 | 21,982,215 | 56,584,228 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 59,180,573 | 0 | 59,180,573 | 42,336,267 | 0 | 42,336,267 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 32,408,548 | 12,036,000 | 44,444,548 | 37,714,623 | 0 | 37,714,623 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 432,566,757 | 0 | 432,566,757 | 311,617,451 | 0 | 311,617,451 |
| 11 | სხვა აქტივები | 135,656,223 | 73,805,361 | 209,461,584 | 85,512,116 | 81,916,848 | 167,428,965 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 4,795,085,532 | 6,208,293,478 | 11,003,379,010 | 2,788,110,288 | 3,753,236,176 | 6,541,346,464 |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 60,408,079 | 47,461,163 | 107,869,242 | 31,938,624 | 121,079,839 | 153,018,462 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 1,264,797,198 | 1,406,917,217 | 2,671,714,415 | 611,376,079 | 726,140,610 | 1,337,516,689 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 446,770,397 | 1,245,837,725 | 1,692,608,122 | 273,242,292 | 858,124,568 | 1,131,366,860 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 322,416,243 | 2,022,170,516 | 2,344,586,759 | 224,550,392 | 1,495,125,500 | 1,719,675,891 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 982,614,739 | 1,094,782,083 | 2,077,396,823 | 208,427,618 | 329,689,897 | 538,117,515 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 12,694,967 | 36,553,490 | 49,248,458 | 11,142,557 | 26,181,830 | 37,324,388 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 126,915,957 | 88,269,703 | 215,185,660 | 100,615,671 | 125,920,814 | 226,536,485 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 12,562,250 | 415,822,800 | 428,385,050 | 12,562,250 | 265,460,668 | 278,022,918 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 3,229,179,831 | 6,357,814,697 | 9,586,994,528 | 1,473,855,482 | 3,947,723,726 | 5,421,579,208 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 21,015,908 | 0 | 21,015,908 | 20,021,968 | 0 | 20,021,968 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 534,471,691 | 0 | 534,471,691 | 433,790,651 | 0 | 433,790,651 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 790,856,038 | 0 | 790,856,038 | 606,419,865 | 0 | 606,419,865 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 70,040,845 | 0 | 70,040,845 | 59,534,771 | 0 | 59,534,771 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 1,416,384,482 | 0 | 1,416,384,482 | 1,119,767,255 | 0 | 1,119,767,255 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 4,645,564,313 | 6,357,814,697 | 11,003,379,010 | 2,593,622,737 | 3,947,723,726 | 6,541,346,463 |

ბანკი: სს თიბისი ბანკი
თარიღი: 6/30/2017

ცხრილი 3 — მოგება - ზარალის ანგარიშგება — *ლარებით*

| | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 3,481,789 | 2,132,169 | 5,613,958 | 1,932,703 | 153,352 | 2,086,055 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 187,446,451 | 193,025,216 | 380,471,667 | 127,590,403 | 140,983,268 | 268,573,671 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 3,458 | 729,799 | 733,257 | 158,967 | 107,711 | 266,678 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 26,331,581 | 44,491,427 | 70,823,008 | 15,108,621 | 36,839,602 | 51,948,223 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 4,799,279 | 16,053,536 | 20,852,815 | 3,847,512 | 5,968,035 | 9,815,546 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 938,118 | 5,914,008 | 6,852,127 | 1,236,459 | 5,121,326 | 6,357,785 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 2,437,632 | 8,125,568 | 10,563,200 | 2,575,978 | 3,986,859 | 6,562,836 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 3,766,696 | 10,657,504 | 14,424,200 | 3,456,539 | 8,981,676 | 12,438,215 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 3,281,146 | 3,761,061 | 7,042,208 | 971,149 | 8,045,761 | 9,016,910 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 144,658,056 | 94,377,825 | 239,035,882 | 99,988,858 | 63,874,906 | 163,863,765 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,230,484 | 8,914,487 | 10,144,971 | 246,321 | 8,057,393 | 8,303,713 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | 8,060,482 | 2,059,685 | 10,120,167 | 6,905,469 | 2,047,981 | 8,953,449 |
| 4 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 34,865,907 | 83,426 | 34,949,333 | 28,754,103 | 0 | 28,754,103 |
| 5 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 233,854,628 | 197,300,497 | 431,155,125 | 165,182,677 | 143,184,601 | 308,367,278 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 7 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 37,878,238 | 14,543,117 | 52,421,355 | 12,971,472 | 9,917,546 | 22,889,018 |
| 8 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 13,545,887 | 43,957,781 | 57,503,669 | 10,702,284 | 36,853,003 | 47,555,287 |
| 9 | ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 3,630,538 | 1,208,793 | 4,839,331 | 924,641 | 1,035,289 | 1,959,930 |
| 10 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 32,505,288 | 51,610,776 | 84,116,064 | 21,191,474 | 26,934,155 | 48,125,630 |
| 12 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 498,625 | 17 | 498,642 | 369,687 | 0 | 369,687 |
| 13 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 88,058,576 | 111,320,484 | 199,379,060 | 46,159,558 | 74,739,993 | 120,899,551 |
| 14 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 145,796,051 | 85,980,014 | 231,776,065 | 119,023,119 | 68,444,608 | 187,467,727 |
| | | | | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 15 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურეობის მიხედვით | 62,353,683 | 10,579,098 | 72,932,781 | 32,842,023 | 5,739,714 | 38,581,738 |
| 15.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურეობის მიხედვით | 83,223,106 | 29,996,886 | 113,219,991 | 45,798,633 | 21,607,418 | 67,406,052 |
| 15.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურეობის მიხედვით | 20,869,423 | 19,417,787 | 40,287,211 | 12,956,610 | 15,867,704 | 28,824,314 |
| 16 | მიღებული დივიდენდები | 0 | 0 | 0 | 1,128,678 | 12,521 | 1,141,199 |
| 17 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | -63,845 | 0 | -63,845 | 8,805,854 | 0 | 8,805,854 |
| 19 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა–გაყიდვის ოპერაციებიდან | 48,405,719 | 0 | 48,405,719 | 20,347,735 | 0 | 20,347,735 |
| 20 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | -4,995,486 | 0 | -4,995,486 | 7,980,665 | 0 | 7,980,665 |
| 21 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | -2,328,137 | 0 | -2,328,137 | -330,527 | 0 | -330,527 |
| 22 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 2,261,478 | 7,549,019 | 9,810,497 | 3,631,158 | 5,606,645 | 9,237,804 |
| 23 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 10,279,247 | 3,525,800 | 13,805,047 | 5,054,563 | 3,844,661 | 8,899,224 |
| 24 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 115,912,658 | 21,653,917 | 137,566,575 | 79,460,150 | 15,203,542 | 94,663,692 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 25 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 9,603,547 | 2,689,572 | 12,293,119 | 6,844,002 | 5,487,883 | 12,331,885 |
| 26 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 8,490,658 | 10,610,256 | 19,100,914 | 17,161,433 | 4,851,982 | 22,013,415 |
| 27 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 98,144,547 | 0 | 98,144,547 | 67,021,575 | 0 | 67,021,575 |
| 28 | ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები | 2,094,183 | 0 | 2,094,183 | 1,643,120 | 0 | 1,643,120 |
| 29 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 15,310,677 | 0 | 15,310,677 | 11,361,764 | 0 | 11,361,764 |
| 30 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 22,171,000 | 510,714 | 22,681,714 | 14,237,218 | 145,360 | 14,382,578 |
| 31 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 155,814,612 | 13,810,541 | 169,625,153 | 118,269,111 | 10,485,225 | 128,754,336 |
| 32 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | -39,901,954 | 7,843,375 | -32,058,578 | -38,808,961 | 4,718,317 | -34,090,644 |
| | | | | | | | |
| 33 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 105,894,097 | 93,823,389 | 199,717,487 | 80,214,158 | 73,162,925 | 153,377,083 |
| | | | | | | | |
| 34 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 27,506,346 | 0 | 27,506,346 | 46,654,397 | 0 | 46,654,397 |
| 35 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | 0 | 0 | 10,783 | 0 | 10,783 |
| 36 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 7,788,696 | 0 | 7,788,696 | 4,790,889 | 0 | 4,790,889 |
| 37 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 35,295,042 | 0 | 35,295,042 | 51,456,068 | 0 | 51,456,068 |
| | | | | | | | |
| 38 | მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ–ხარჯებამდე | 70,599,055 | 93,823,389 | 164,422,444 | 28,758,090 | 73,162,925 | 101,921,015 |
| 39 | მოგების გადასახადი | 15,022,384 | 0 | 15,022,384 | 9,545,144 | 0 | 9,545,144 |
| 40 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | 55,576,671 | 93,823,389 | 149,400,060 | 19,212,946 | 73,162,925 | 92,375,871 |
| 41 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | 78,023 | 0 | 78,023 | 0 | 0 | 0 |
| 42 | **წმინდა მოგება** | 55,654,695 | 93,823,389 | 149,478,084 | 19,212,946 | 73,162,925 | 92,375,871 |

ბანკი: სს თიბისი ბანკი
თარიღი: 6/30/2017

ცხრილი 6 — ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

| | | |
|---|---|---|
| | **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | მამუკა ხაზარაძე | |
| 2 | ბადრი ჯაფარიძე | |
| 3 | ვახტანგ ბუცხრიკიძე | |
| 4 | გიორგი შაგიძე | |
| 5 | ნიკოლოზ ენუქიძე | |
| 6 | სტეფან უილკი | |
| 7 | სტეფანო მარსალია | |
| 8 | ერიკ რაჯენდრა | |
| 9 | ნიკოლას დომინიკ ჰააგი | |
| | | |
| | | |
| | **დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | ვახტანგ ბუცხრიკიძე | |
| 2 | პაატა ღაძაძე | |
| 3 | ვანო ბალიაშვილი | |
| 4 | ნინო მასურაშვილი | |
| 5 | დავით ჭყონია | |
| 6 | გიორგი შაგიძე | |
| 7 | ნიკოლოზ ქურდიანი | |
| 8 | გოგა თხელიძე | |
| | | |
| | | |
| | | |
| | **საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით** | |
| 1 | TBC Bank Group PLC | 98.67% |
| | | |
| | **ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით** | |
| 1 | მამუკა ხაზარაძე | 13.72% |
| 2 | ბადრი ჯაფარიძე | 6.86% |
| 3 | European Bank for Reconstruction and Development | 8.29% |
| 4 | JPMorgan Asset Management | 8.49% |
| 5 | Schroder Investment Management | 8.03% |
| 6 | Dunross & Co. | 5.49% |
| | | |

# აშშ-ის სენატმა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები დაამტკიცა



აშშ-ის სენატმა რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციები დაამტკიცა. როგორც მოსალოდნელი იყო, სხდომაზე განსაკუთრებით სენატორი ჯონ მაკეინი აქტიურობდა. მან ესესაა ოპერაცია გადაიტანა, რაც ჯერ კიდევ ეტყობა. მიუხედავად ამისა, ის სხდომას დაესწრო და ცეცხლოვანი სიტყვაც წარმოთქვა.

– ჩვენ უნდა ვაჩვენოთ პუტინსა და ყველა აგრესორს, რომ ძალადობა დაუსჯელი არ დარჩება! ამერიკა, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე დგას, უსამართლობას არ დაუშვებს, – თქვა მაკეინმა.

სენატის დადგენილებას ტრამპის ადმინისტრაციაში ცივად შეხვდნენ. ეს გასაგებია, რადგან, ამ დადგენილების თანახმად, პრეზიდენტს კონგრესის თანხმობის გარეშე სანქციების შესუსტება ან გაუქმება ეკრძალება. ტრამპის ძალაუფლებაც შეიზღუდა.

– შესაძლოა, პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადოს, – აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი სკარამუჩი.

ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ბატონი ტრამპი რუსეთის მიმართ სანქციების შემოღებას მხარს გულმხურვალედ უჭერს. მეტიც, აშშ-ის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ კონგრესმენები ახალ, უფრო რადიკალურ დოკუმენტს შეიმუშავებენ.

– ბატონი ტრამპი ასეთ დოკუმენტს ხელს დიდი სიამოვნებით მოაწერს, – თქვა სკარამუჩიმ.

# ისლამ ქარიმოვის ქალიშვილი დააპატიმრეს



უზბეკეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის ქალიშვილი ლოლა დაპატიმრებულია. ამის თაობაზე უზბეკეთის პროკურატურის პრესცენტრი იტყობინება.

ლოლა ქარიმოვას ბრალად ედება დანაშაულებრივი ჯგუფის მფარველობა, რომელიც ეწეოდა რეკეტს, სახელმწიფო ქონების დატაცება, ვაჭრობა იარაღით, ნარკოტიკებითა და ა.შ.

უზბეკეთის პროკურატურა მოითხოვს, რომ ყადაღა დაედოს ლოლა ქარიმოვას ქონებას როგორც უზბეკეთში, ისე საზღვარგარეთ.

# პუტინი: „ვაშინგტონი ცდილობს, ზიანი მოგვაყენოს“



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ჯერ არა აქვს გარკვეული პოზიცია აშშ-ის მიერ რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების საკითხზე.

– ჯერ ვნახოთ, კანონპროექტის ტექსტი როგორი იქნება, აჩქარება არ არის საჭირო. დღეისათვის ჩვენი პოზიცია ამ საკითხისადმი არ გაგვირკვევია, – ამბობს პუტინი.

ამავე დროს, პუტინმა კვლავ ცადა, „მაგარი ბიჭის“ როლი ეთამაშა და უხამს გამოთქმებსაც არ მოერიდა.

– აშშ-ის მიერ ახალი სანქციების შემოღების მცდელობა ეგოიზმი და ხეპრეობაა! ვაშინგტონი ცდილობს, ზიანი მოგვაყენოს და არც თავისი ევროპელი პარტნიორების დაზარალებას ერიდება, – თქვა პუტინმა.

რუსეთმა აშშ-ის წინააღმდეგ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა. ამერიკელ დიპლომატებს აეკრძალათ „სერებრიანი ბორში“ თავიანთი აგარაკით სარგებლობა.

# გერმანია შეშფოთებულია



გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა ბრიგიტ ციპრისმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღება გერმანიის ეკონომიკას აზარალებს.

– ვშიშობთ, რომ ამით ჩვენი ის კომპანიები დაზარალდებიან, რომლებიც ენერგეტიკის სფეროში მუშაობენ, – თქვა ციპრისმა.

ექსპერტების აზრით, აშშ-ის მიერ ახალი ანტირუსული სანქციების შემოღება „ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტის განხორციელებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის. გერმანია და სხვა ქვეყნები ამის გამო პროტესტს გამოთქვამენ. ამავე დროს, ბალტიის სახელმწიფოები და პოლონეთი ამას მიესალმებიან.

– „ჩრდილოეთის ნაკადის“ განხორციელებით პოლონეთის ეკონომიკა ზარალდება, – ამბობს პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# გაიცანით — ზიდანები

საფეხბურთო სამყაროში ყველაფერი ძალიან დიდ ინტერესს იწვევს, რაც ლეგენდარული ზინედინ ზიდანის სახელთან არის დაკავშირებული. მათ შორის არიან ზიზუს შვილები. დღევანდელ ჩვენს წერილში სწორედ მათ შესახებ დავწერთ...

**ენცო ფერნანდესი**

პირველ შვილს ზინედინ ზიდანმა თავისი უსაყვარლესი ფეხბურთელის, ლეგენდარული ურუგვაელის, ენცო ფრანჩესკოლის სახელი დაარქვა. ზიდანმა შვილს ფეხბურთი თავიდანვე განუსაზღვრა მომავლად. 2000 წლამდე ენცო იუვენტუსის საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა. იყო რამდენიმე სტაჟირება ნაკლებად ცნობილ იტალიურ და ესპანურ კლუბებში. ამის შემდეგ 13 წლიდან დღემდე ის მადრიდის რეალის სისტემაშია.

პატარა ზიდანის პროფესიონალური საფეხბურთო კარიერა 2014 წელს დაიწყო. ის რეალის რანგით მესამე გუნდში თამაშობდა, რომელიც ესპანეთის მეოთხე ლიგაში ასპარეზობდა და ერთი წლის შემდეგ საერთოდ დაიშალა. მაშინ ზიზუ რეალის მეორე გუნდს წვრთნიდა. მოგვიანებით ენცო კასტილიაში მოხვდა.

– ენცო სისტემატურად თამაშობს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ამას იმსახურებს. მე ყველანაირად უნდა ვეცადო, რომ გასახდელში ის რიგითი ფეხბურთელი იყოს. არავითარი მამაშვილობა. ის ჩემი შვილი მხოლოდ მაშინ უნდა იყოს, როცა სახლში ვართ. მე მას ისე ვეპყრობი, როგორც რიგით ფეხბურთელს და ეს მისი სურვილიცაა. ის კი არა, შეიძლება, ცოტა მეტად მკაცრიც კი ვარ, რადგან ვიცი, რა შეუძლია.



ენცო ზიდანს აქვს საფრანგეთისა და ესპანეთის მოქალაქეობა. დიდი ზიდანი ამბობს, რომ თუ მისი ძე სანაკრებო არჩევანის წინაშე დადგება, ის მას ძალას არავითარ შემთხვევაში არ დაატანს.

ამ დროისათვის ენცო მესამე დივიზიონში მოასპარეზე რეალ კასტილიაში თამაშობს. ხან მარცხენა ნახევარმცველია, ხან ცენტრალური. მიმდინარე სეზონში მან სულ 31 მატჩი ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა. მათ შორის 4 თერთმეტმეტრიანიდან. ამასთან, მის ანგარიშზე 5 საგოლე პასია. სეზონის დაწყებამდე საუბარი იყო პატარა ზიდანის იჯარით გაშვებაზე მიდლსბროში ან სხვა რომელიმე კლუბში, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

22 წლის ფეხბურთელმა რეალის შემადგენლობაში ერთადერთი მატჩი ითამაშა. 2016 წლის 30 ნოემბერს „სამეფო კლუბმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კულტურალ ლეონესა მიიღო. შესვენებაზე, როცა 3:1 იყო ანგარიში მადრიდული კლუბის სასარგებლოდ, ენცომ ისკო შეცვალა. 18 წუთის შემდეგ მან მარიანო დიასის პასით გაიტანა.

**ლუკა ზიდანი**

რატომღაც მან მეკარის ამპლუა აირჩია. მისი კარიერა კასტილიაში ისევ მამის ხელდასხმით განვითარდა, ოღონდ ის შედარებით ნაკლებად წარმატებულია, ვიდრე ენცოსი. ის მეკარის კვალობაზე დაბალია (181 სმ), მაგრამ მწვრთნელების აზრით, კარგად თამაშობს გამოსვლაზე და ფეხით. ის 18 წლისაა.

ლუკამ სანაკრებო ასპარეზად საფრანგეთი აირჩია და 2015 წელს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატიც მოიგო. ამ სეზონში მან ჩემპიონატის მატჩების უმრავლესობა გამოტოვა. სამაგიეროდ, ბევრი ითამაშა ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაზე. კასტილიას კარში ის მიმდინარე სეზონში 15 შეხვედრაში იდგა. გაუშვა 23 გოლი და მხოლოდ ორჯერ შეინახა კარი მშრალად.

**ტეო ზიდანი**

მიიჩნევა, რომ 14 წლის ტეო სათამაშო სტილით ყველაზე ახლოსაა მამასთან. ის შემტევი ნახევარმცველია და რეალის ვებგვერდი მას ასე წარმოგვიდგენს – ფეხბურთელი, რომელიც გუნდისათვის თამაშობს.

ვინც რეალის ახალგაზრდული გუნდის თამაშებს ადევნებს თვალს, მიიჩნევენ, რომ ისინი მინდორზე ზიზუს კოპიოს ხედავენ. მას ტექნიკით ნეიმარსაც ადარებენ.

ფიზიკურად ტეო შესანიშნავადაა მომზადებული. 14 წლის ასაკში სიმაღლით თითქმის დაეწია მამასა და ძმებს. მის დებიუტს დიდ ფეხბურთში ესპანეთში მოუთმენლად ელიან.

**ელიას ზიდანი**

ზინედინ ზიდანის უმცროსი შვილი ჯერ მხოლოდ 11 წლისაა. ამპლუით ის, მამისა და ტეოს მსგავსად, შემტევი ნახევარმცველია. რეალისა და ბარსელონის 12-წლამდელთა გუნდების „ელ კლასიკოში“ ელიასმა ულამაზესი გოლი გაიტანა.

ეს ბურთი „იუთუბზე“ ფეხბურთის ასიათასობით გულშემატკივარმა ნახა. ეს გოლი ჯერ უმთავრესია პატარა ზიდანის ცხოვრებაში, მაგრამ უკვე ისე თამაშობს ფეხბურთს, რომ ბევრი უდიდეს პოტენციალი ხედავ და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გოლები ჯერ კიდევ წინაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კაცი ლეგენდა, ფეხბურთელი ლეგენდა!

80 წლის იუბილეს გილოცავთ!

ჯანმრთელობა და სიკეთე არ მოგკლებოდეს შენს დიდ ოჯახთან ერთად. უფალს ვთხოვთ, შეგისრულოს ყველა ნატვრა და ოცნება. გლოცავდეს ქრისტეს ჯვარი. გფარავდეს ღმერთი მაღალი და წმინდა სვეტიცხოველი.

*„ჩ“ ჯემალ შავლაძე, გია დორე-ლი, დემიკო ლოლაძე, შალვა გელაშვილი, ლუტო მაჩაიძე, გოგა დანელიშვილი, კენედა, პაატა დოლიძე, სერგო გეგეჭკორი, ჰამლეტ ნიჟარაძე, კოკა ამირიძე, რომან კოპლატაძე, თამაზ ბაქრაძე, შალვა ალავიძე, თამაზ მაისურაძე, ჯემალ უგულავა, იბო დოლიძე*



В. Баркая

# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი,ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# რობერტ ლევანდოვსკი — ძიუდოდან ფეხბურთელობამდე

ჯერ კიდევ 4 წლიდან მას ზედა ტუჩზე ნაიარევი აქვს. მაშინ ის წვენს სვამდა და კიბეზე ფეხი დაუცდა. სისხლით მოსვარა მამის მანქანა და დედის ლაბადა. რობერტ ლევანდოვსკის თავგადასავლები ამით არ დასრულებულა. ცოტა ხანში ფეხი მოიტეხა. მოტეხილი ცუდად შეხორცდა.

ექიმები იძულებულნი იყვნენ, ფეხი ხელახლა მოეტეხათ ნარკოზის დახმარებით, რათა შეხორცების პროცესი სწორად წასულიყო.

დედამისი, ივონა, ფრენბურთელი იყო, მამა, კშიშტოფი, კი ძიუდოს მისდევდა. მათ ერთმანეთი ვარშავაში გაიცნეს. ახალი სამუშაო წელი იწყებოდა და ყველა სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევას გადიოდა. ივონა, პატარა პოლონურ ქალაქში გაზრდილი მოკრძალებული გოგონა, მოთმინებით ელოდა თავის რიგს. როგორც იქნა, მოვიდა სანატრელი წამი და ამ დროს ექიმის კაბინეტში უცნობი შეიჭრა. მან თავისი ქცევის მიზეზი არაორიგინალურად ახსნა — მე მხოლოდ კითხვა მაქვს.

არადა, უცნობი ნახევარი საათი გაჩერდა ექიმთან. რომ გამოვიდა, გოგონამ მას თითი დაუქნია და უთხრა, კარგად დაგიმახსოვრეო. ერთი თვის შემდეგ, თითქოს ბედიაო, ისინი ისევ შეხვდნენ ერთად სტუდენტურ საღამოზე. ურთიერთობა თანდათან დათბა. მალე წყვილმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. მალევე ეყოლათ გოგონა, მილენა.

მილენა თავიდანვე ფრენბურთზე შევიდა და იმედისმომცემ, პერსპექტიულ გოგონად ითვლებოდა, მაგრამ სიმაღლეში აღარ გაიზარდა, მხოლოდ 172 სანტიმეტრი დარჩა და მიხვდა, მისგან ფრენბურთელი არ დადგებოდა. 18 წლის რომ შესრულდა, მწვრთნელობა გადაწყვიტა.

მილენას ამბავი მივატოვოთ და ისევ წარსულს მივუბრუნდეთ...

წყვილი მეორე ბავშვის გაჩენას არ გეგმავდა, მაგრამ რობერტი გაჩნდა. მათ შეიძლება გაუგო — გოგონას გაზრდაც კი ძალიან გაუჭირდათ. ორივე სპორტს მისდევდა, მილენა ძალიან ხშირად დადიოდა შეკრებებზე მშობლებთან ერთად.

დაიწყო თუ არა ბიჭმა სიარული, მამამ ის ძიუდოზე შეიყვანა. მამამ მალევე აღიარა მარცხი და შვილს უთხრა — თავი დაანებე, შენგან ძიუდოისტი მაინც არ დადგება. ამის შემდეგ მამამ შვილი მძლეოსნობაზე შეიყვანა. ლევანდოვსკი ცუდად სულაც არ დარბოდა. ის იგებდა საქალაქო შეჯიბრებებს, მაგრამ ბიჭს ბურთის კენწვლა უფრო იტაცებდა.

რობერტი ყველა საფეხბურთო კომპონენტს თავად ხვეწდა. ამაში ის თავის ძაღლსაც კი იშველიებდა. როცა რობერტმა ტრავმა მოიშუშა, ის თავის „ბოქსიორთან“ ერთად დარბოდა ტყეში. პირველ 2 დღეს ძაღლი უფრო სწრაფად დარბოდა, მესამე დღეს კი უკვე რობერტმა აჯობა.

საბოლოოდ, რობერტი შევიდა ფეხბურთზე. ოჯახი ლეჩნაში ცხოვრობდა — ვარშავიდან საათნახევრის სავალზე. რობერტიც ამ დროს გადიოდა, რათა დედაქალაქში ჩასულიყო და ევარჯიშა. როცა დედა მის წამოსაყვანად მიდიოდა მანქანით, მას სავარძელზე პლედის დაფარება უწევდა. „ვარშავიას“ სტადიონ-



ზე, სადაც მომავალი ვარსკვლავი სპორტის ნომერი პირველი სახეობის ანბანს ეუფლებოდა, შხაპის მიღების საშუალება არ იყო.

სტადიონზე არ იყო გაზონიც. ბავშვები მიწაზე თამაშობდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ იყო. კლუბი, რომელზეც ზემოთ დავწერეთ, გახლდათ ერთადერთი, რომელმაც 8 წლის ლევანდოვსკის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

სხვები უარს ამბობდნენ, ან ბიჭის მშობლებს ეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე წელიწადში გამოევლოთ. როცა მწვრთნელმა მარეკ სივეცკიმ პირველად დაინახა რობერტი, გაოცებისგან შეჰყვირა — ღმერთო ჩემო, რა პატარაა... სამაგიეროდ, ის ნამდვილი ბრილიანტია, — იყო კშიშტოფის პასუხი. რობერტმა 2 წლით დიდებში დაიწყო ვარჯიში.

— ის ჩვენს გუნდში არ იყო მთავარი ტალანტი, მაგრამ განსაკუთრებული ბიჭი იყო. ჩვენი ბავშვები წვრთნას ყველა მიზეზის გამო აცდენდნენ — ტემპერატურა, ტრავმა, მუცლის ტკივილი... რობერტის ვარჯიშზე არმოსვლა კი სამყაროს დასასრულს ნიშნავდა, — იხსენებს რობერტის პირველი მწვრთნელი.

გუნდში მთავარი ტალანტები არტურ კოვალჩიკი და ადამ ვეჩორეკი იყვნენ. ბობეკი, როგორც რობერტს ეძახდნენ, უფრო საშუალოებში ეწერა, ვიდრე ძალიან ნიჭიერებში. ისინი პოლონეთის ქვედა ლიგებში ჩაიკარგნენ.

— ვეჩორეკს ერთ-ერთი დაბალი რანგის ტურნირზე შევხვდი. მან მთხოვა, თუ საშუალება მქონდა, მისთვის ტელეფონი მეყიდა, — გაიხსენა რობერტის ბავშვობის კიდევ ერთმა მწვრთნელმა კშიშტოფ სიკორსკიმ.

16 წლის რობერტი დელტაში ჩაირიცხა. ეს იყო პოლონეთის ჩემპიონ ლეგიას ფარმკლუბი. ერთ დღესაც, შინ დაბრუნებულმა მან მამის სიკვდილის თაობაზე შეიტყო — მამა კიბომ იმსხვერპლა. მას ძალიან ეშინოდა ოპერაციისა და, როცა თარიღი ახლოვდებოდა, წნევა უწევდა.

ასე მოუყვა ჟურნალისტებს რობერტის დედამ. ის საკუთარ თავში ჩაიკეტა, მალე ბრძოლაც შეწყვიტა. ოპერაცია მაინც გაუკეთეს, მაგრამ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. 2 დღეში მას ძილში ინსულტი მოუვიდა და გარდაიცვალა.

რობერტს დარდში ჩაფლობის დრო არ ჰქონდა. მომქანცველი ვარჯიშების შემდეგ ის საღამოს ბრუნდებოდა შინ. ივახშმებდა თუ არა, ეგრევე იძინებდა. ზოგადად, დამჯერი ბავშვი იყო. ითვლებოდა, მთელი ბავშვობის განმავლობაში მისი უდიდესი ცოდვა ის იყო, რომ ერთხელ მშობლებს მანქანა მოჰპარა.

მომავალმა ვარსკვლავმა თავის ბიოგრაფს, პავლ ვილკოვიჩს გაუმხილა, რომ არც ისეთი დამჯერი ბავშვი იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

— ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად ფეიერვერკებს ვუშვებდი და პეტარდებს ვაფეთქებდით. მერე ბანანები და იოგურტები ვესროლეთ პოლიციის მანქანას, ერთხელ კი მოტოციკლეტებით ძლივს გავექეცით მათ.

პირველი სერიოზული ტრავმა რობერტმა კურიოზულ ვითარებაში მიიღო. ის აბანოში გოგონებს უყურებდა. ყველაფერი ცუდად წავიდა. ჯერ ერთი, გოგონები ბანაობის მაგივრად ეწეოდნენ, მერე კი ბიჭი შენიშნეს. რობერტი გაიქცა და მუხლი დაიშავა.

ბავშვობაში ძიუდოში მიღებული გამოცდილება არა მხოლოდ მოგვიანებით, ლუკაშ ბარიოსთან ჩხუბში წაადგა, არამედ ბავშვობაშიც. სწორედ ერთ-ერთი სასკოლო ჩხუბის შემდეგ გაიცნო მან საუკეთესო მეგობარი ლუკაშ კუკლევიჩი.

მათ მაგრად იჩხუბეს, მაგრამ სახლისკენ ერთად წამოვიდნენ და ერთმანეთის კოპების თვლა დაიწყეს.

— როდესაც ბავშვობაში ნაჩხუბარი მოვდიოდი შინ, დედა ყინულებს მადებდა და ჩემს კოპებს ითვლიდა, მამაჩემს კი სულ სხვა რამ აინტერესებდა — რამდენი კოპი დარჩა იმას, ვისაც მე ვეჩხუბებოდი.

ერთხელ მეგობართან ერთად რობერტი ბანდიტებს გადაეყარა, ერთხელაც მან სკამი ესროლა მასწავლებელს მას შემდეგ, რაც ბიოლოგიაში დაბალი ნიშანი მიიღო.

ზნიჩი, ლეხი... და მერე იყო გზა პოლონური კლუბებიდან დორტმუნდისაკენ. ბევრი პოლონეთში მიიჩნევდა, რომ რობერტს საშუალოზე საშუალო საფეხბურთო ნიჭი ჰქონდა, მაგრამ დღეს რობერტი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

— ყველაფერს ჩემი შრომით მივაღწიე. მე რომ ვარშავაში არ მევარჯიშა და ჩემს მშობლიურ ქალაქში დავრჩენილიყავი, თავისუფლად შეიძლებოდა, გზას ავცდენილიყავი. ჩემს ქალაქში ბევრი ტალანტი იყო, მაგრამ ისინი ან გზას ასცდნენ, ან ვერ მოახერხეს თავისი პოტენციალის სრულად რეალიზება. მე არ მაშინებს არცერთი სირთულე, რადგან ჩემი გზა ისედაც ძალიან რთული იყო. მე ზუსტად ვიცი, როგორ უნდა გავუმკლავდე სირთულეებს, — ამბობს რობერტ ლევანდოვსკი.

# მოჰამედ სალაჰი: „ლივერპულის ფეხბურთელობა მახარებს“

რომას ფეხბურთელი მოჰამედ სალაჰი ივლისიდან ლივერპულშია და იურგენ კლოპის გუნდში ვარჯიშობს.

ლივერპულელთა 11 ნომერს გუნდის უმთავრეს შენაძენად მოიაზრებენ და გასაკვირიც არ არის იქაური ჟურნალისტების მისით დაინტერესება.

ლივერპულელთა ახალწვეულმა თავისი სამომავლო მიზნები გაამხილა და აღნიშნა, რომ მზადაა, თავის ახალ გუნდს ყველაფერი მისცეს, რაც გააჩნია.

***— მოგესალმებით ახალ კლუბში... როგორი გრძნობაა ლივერპულის ფეხბურთელობა?***

— ძალიან მიხარია აქ ყოფნა. მინდა ამ გუნდთან ერთად რაღაც მოვიგო. ყველამ იცის თუ რამხელა კლუბში მოვედი. ამიტომ რაღაც უნდა მოვიგოთ.

***— ლივერპულის თამაშებს თუ უყურებდით გასულ სეზონს?***

— ბევრი თამაში ვნახე და ძალიან კარგად თამაშობდნენ. იმედი მაქვს წელს კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთ.

***— ახალმა მწვრთნელმა რა როლი ითამაშა თქვენს გადაწყვეტილებაზე?***

— მიხარია მასთან ერთად რომ მომიწევს სეზონის დაწყება. ყველამ იცის რა დიდი კაცია და რა კარგი მწვრთნელი. მოუთმენლად ველი ახალ სეზონს.

***— ყველაზე მეტად ვის გვერდით ელით თამაშს?***

— ყველამ კარგად ითამაშა. მანეს გასაოცარი სეზონი ჰქონდა, კოუტინიო, ფირმინო, ლალანა — ყველა. არ მინდა რომელიმე კონკრეტული სახელის თქმა. ყველას ძალიან მაგარი სეზონი ჰქონდა.

***— შეტევაში მართლა ყველა პოზიციაზე გამოგდით თამაში?***

— მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ ხოლმე. წინა სეზონში რომაში 5 მცველით ვთამაშობდით და წინ ორი თავდამსხმელი გვყავდა. მე




მეორე თავდამსხმელი ვიყავი, რაღაც 10 ნომრის მსგავსი. ხანდახან მარცხნივაც ვთამაშობ ხოლმე. მოკლედ, წინ ყველგან შემიძლია თამაში.

***— ინგლისური ფეხბურთი ახალი არ არის თქვენთვის. ალბათ ეს დაგეხმარებათ.***

— დიახ. უკვე მითამაშია აქ და გარკვეული გამოცდილებაც მაქვს. მომწონს პრემიერლიგაში თამაში. ძალიან მიხარია, რომ დავბრუნდი და მოუთმენლად ველი ახალ სეზონს.

***— როგორ ფიქრობთ, უკეთეს ფეხბურთელად დაბრუნდით?***

— დიახ. ყველაფერში მოვუმატე. პირადადაც კი შევიცვალე, მაშინ ბავშვი ვიყავი, 20-21 წლის. ახლა 4 წლით უფრო დიდი ვარ, ყველაფერი სხვანაირადაა. მას მერე 3 კლუბში ვითამაშე, ჩელსიში, ფიორენტინასა და რომაში. სამივეგან დიდი გამოცდილება მივიღე.

***— ჩელსიში სულ 19-ჯერ ითამაშეთ. ალბათ რაღაცების დამტკიცებაც გსურთ.***

— დიახ, ამას ყოველთვის ვცდილობ. მაშინაც კი თუ ვხედავ, რომ რაღაც კარგად გამომდის, ვცდილობ რომ კიდევ უკეთ გავაკეთო. სულ მცირე დეტალებზეც კი ძალიან ბევრს ვფიქრობ, იმიტომ რომ ვიცი, ყოველთვის შეიძლება მოუმატო და გაუმჯობესდე.

***— რომაში გატარებული ბოლო სეზონი ყველაზე შედეგიანი გამოდგა თქვენთვის: 19 გოლი გაიტანეთ და საკმაოდ ბევრი საგოლე პასი დაგიგროვდათ. ალბათ საუკეთესო სეზონი იყო.***

— მეც ასე ვფიქრობ, საუკეთესო იყო. თუმცა არაფერი შეცვლილა, მანამდეც რომაში ვიყავი და იმ სეზონში 15 გოლი გავიტანე. ყოველ წელს ვუმატებ, სულ ვცდილობ რომ უკეთ და უკეთ ვითამაშო. ამიტომაც დავთანხმდი ამ ახალ გამოწვევას. ვიცი მარტივი არ იქნება, მაგრამ მე მზად ვარ და ველი.

***— ლივერპული დიდი საფეხბურთო ქალაქია. ეს რამდენად გახარებთ?***

— ყველამ იცის თუ რამხელა კლუბია ლივერპული. მთელ მსოფლიოში გვყავს გულშემატკივრები. ნახეთ ტვიტერი და ფეისბუკი, გიჟდებიან თავიანთ გუნდზე. ძალიან მიხარია, როცა ასეთ სიყვარულს ვგრძნობ გულშემატკივრების მხრიდან.

***— გუნდის სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?***

— დიდი ხანია ლივერპულს პრემიერლიგა არ მოუგია. დიდებული გუნდი და ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს. შარშან თამაშებს ხშირად ვუყურებდი და ვხედავდი, რომ ყველა ბოლომდე იხარჯებოდა. ყველა ხედავს, რომ მწვრთნელიც ყველაფერს აკეთებს გუნდისთვის. იმედი მაქვს წელსაც ყველა მზად იქნება, რომ გუნდისთვის ბოლომდე დაიხარჯოს და თასსაც მოვიგებთ კლუბისთვის, გულშემატკივრებისთვის და ჩვენთვის.

***— გუნდში 11 ნომრის ტარება მოგიწევთ. რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ რიცხვს თქვენთვის?***

— პირველ რიგში, მადლობა ფირმინოს იმისთვის, რაც გააკეთა. უბრალოდ, მომწონს ეს ნომერი. რომშიც 11-იანი მაისურით ვთამაშობდი და მანამდე ეგვიპტის ნაკრებშიც. კარგი რიცხვია. კიდევ ერთხელ მადლობა მას.

***— ლივერპულის გულშემატკივრები რამდენიმე წელი ელოდნენ თქვენს გუნდში მოსვლას. რას ეტყვით მათ?***

— ვეტყვი იმას, რომ ძალიან გახარებული ვარ აქ ყოფნით. ბოლომდე დავიხარჯები გუნდისთვის. მახარებს ლივერპულის ფეხბურთელობა და ძალიან მინდა, ამ გუნდში რამე მოვიგო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# TV პროგრამა

## ორშაბათი 31 ივლისი

06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "წინ" წარმატებისკენ" 10.10, 03.25 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.00, 04.25 დღის მხ/ფ "ფეხშიშველი გრაფინია" (ჰ.ბოგარტი) 15.00 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ცხიერი მოახლეები" 22.00 ტ/სერ. "მთავრობა" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 00.00 მხ/ფ "გამბიტი" (მ.კეინი) 01.45 მხ/ფ "მტირალა ბავშვი" (მ.ჰემინგუეი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

08.00, 14.40 სერ. "ელიფი" 09.20 სერ. "პატარძალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 სერ. "ღირსების სახელით" 1 სერ. 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ძმა" 22.30 სერ. "ვიკინგები 3" 1 სერ. 23.30 მხ/ფ "ცუდი ლეიტენანტი" 01.40 მხ/ფ "ელიტარული საზოგადოება" 03.25 მხ/ფ "რეიდი 2" 05.50 მხ/ფ "ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე"

05.30, 18.45 სერ. "კაცი" 06.30, 20.03 სერ. "დესპოტი ქმარი" 07.30 მხ/ფ 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 სერ. "ვარსკვლავის დაბადება" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 22.00 მხ/ფ "უძინართა მზე" სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"

